სახალხო გაზეთი

№ 532 ხუთშაბათი, 23 თებერვალი 1912 წ. № 532

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; იმახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29.

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
,, ,, თვეში — 75 კ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ამით ვაცხადებთ, რომ

„სახალხო გაზეთს"

ხელის მომწერთა შემკრები აგენტები არსად არა ჰყავს გარდა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების **ტფილისის წიგნის მაღაზიისა** და ამიტომ ვინც **პირდაპირ „სახალხო გაზეთის" კანტორიდან არ იწერს გაზეთს—პასუხსაც არ ვაგებთ.** ყველა წიგნის მაღაზიას შეუძლიან მიიღოს ჩვენ გაზეთზე ხელის მოწერა მხოლოდ თავისი პასუხის მგებლობით და ამიტომ ხელის მომწერლებმა პასუხისმგებლობაც მათ უნდა მოსთხოვონ.

1912 წ. **სახალხო გაზეთი** 1912 წ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲐ!

მიიღება ხელის-მოწერა

წლიური ხელის-მომწერნი (8 მ. 50 კ.) **მიიღებენ სალიტერატურო კრებულს** გრდემლს.

1 თებერვლიდან წლის ბოლომდე ღირს 8 მან.

ერთი თვით 75 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ **თვის 1 რიცხვიდან**, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს მიმდინარე 1912 წლისა.

ძმ. ზუბალაშვილების სახელობის სახ. სახლი.

ხუთშაბათს, 23 თებერვალს,

ზ. ს. ს. ს. წარ. მმართ. წრის მიერ **ვ. არაბიძის მონაწილეობით** წარმოდგენილი იქნება

1) **ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲛᲣᲨᲐ,** დრ. 1 მ. თარგ. ნ. გოცირიძისა.

2) **ᲐᲨᲔᲜᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ** სცენა სტ. ცხ. 3 მოქმედებ.

ბილეთების ფასი 5—50 კ.-დე. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში, **დასაწყისი სად. 8 ს.**

ადმინისტრატორი **ან. ჭიაბერაშვილი.** (3.1006.3) რეჟისორი **ალ. წუწუნავა.**

ტელეფ. № 795. ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ **ტელეფ. № 759.**

ᲘᲐᲤ ᲤᲐᲡᲘᲐᲜᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲐ

ხუთშაბათს, 23 თებერვალს

ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა ალ. სუმბათაშვილისა: **ღალატი,** ისტ. ლეგენდა 5 მოქ. თარგ. გრ. ყიფშიძისა.

მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი: დავითაშვილი, კარგარეთელი, ლეჟავა, ქილარჯიშვილი, ჩერქეზიშვილი; ბ-ნნი: აბაშიძე, არადელი-იმხნელი, აბდუშელი, გუნია, უივიძე, ივანიძე, მესხი, მატარაძე, ციციშვილი და სხვ.

ადგილების ფასი დაკლებულია. **დასაწყ. სად. 8 ს.**

ანონსი: მზადდება: გამცემი, ოტელო და სხვ.

(2.250.2) მორიგი რეჟისორი **კ. მესხი.** ◆ **ქართ. დრ. საზოგ. ადმინისტ.**

იბეჭდება და თებერვლის დამლევს გამოვა

ᲐᲙᲐᲙᲘ-ს

თხზულების პირველი წიგნი,

რომელშიაც მოთავსებული იქნება **ახალი** ნაწარმოები ჯერ დაუბეჭდავი და აგრეთვე **ძველიც,** ზოგიერთის შენიშვნებითა და განმარტებით. წინასწარის ხელის მოწერით წიგნი ეღირება **ათ შაურად.**

ხელის-მოწერა შეიძლება ტფილისს:—წერა-კითხვის გამ. საზ. და „ცოდნა"-ს წიგნ. მაღაზიაში; ქუთაისს:- „კოლხიდის" რედაქციაში, მთავრიშვილის წიგნის მაღაზ. და კანტ. „იმერეთში". ბათომს -ნ. ა. საბაშვილთან; ფოთს—ი. კოხრეიძესთან; ყვირილას—წიგნის მაღაზიებში. (თ. 1044.28)

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

ᲫᲡᲔᲜᲘᲔᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ᲡᲐᲙᲣᲗ. ᲡᲐᲮᲚᲘ, № 7, ᲕᲔᲢᲪᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲮᲔᲘᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞᲔᲥᲢ. ᲐᲮᲚᲝ

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი და ბავშვთა ავადმ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
სადოსტაქრო (ქირურგიული)	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
საშობიარო ქალთა სნეულებანი	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყოფ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სნეულ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.
თვალის ავ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½.
კბილ. ავ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann-რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; **,,606" წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა. ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1010—275)

საჩქაროდ იყიდება

ძლიერ იაფად ბიბლიოთეკა

უმთავრესად **საქართველოს ისტორიის** შესახებ. **800 წიგნია** სხვა და სხვა ენაზე. შეიძლება ნაწილად და ცალკე წიგნებადაც. იკითხეთ ყიფიანის ქუჩაზე, სახლი № 16, **ს. კაკაბაძის ბინა,** 4—6 საათამდე. (2.1121.2)

გამოვიდა და იყიდება

ქართ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების

ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ

,,ᲒᲠᲓᲔᲛᲚᲘ"

ფასი 1 მ. 50 კ. (თ.1098.13)

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ-ᲙᲐᲖᲛᲣᲚ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ

აცხადებს, რომ სალიტერატურო კრებულ „გრდემლის" მეორე წიგნისთვის

მასალები მიიღება მარტის ბოლომდე.

კრებულის გამოცემა განზრახულია სამაისოდ.

მისამართი: ოლგის ქუჩის შესახვ. № 5—გ. რცხილაძეს. (10.1124.1)

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოება

◆ **შეუდგა ბესარიონ გაბაშვილის ბესიკის თხზულებათა** ◆ გამოცემას. წიგნი სივრცით 200 გვერდამდე იქნება და გამოვა ნაალდგომევს. წინასწარის ხელის-მოწერით წიგნი ღირს 40 კაპ.

ხელის-მოწერა მიიღება მხოლოდ წიგნის გამოსვლამდე 1) წერა-კითხვის საზოგადოების ტფილისის წიგნის მაღაზიებში და 2) „სახალხო გაზეთის" რედაქციაში. წიგნის გამოსვლის შემდეგ ფასი მომატებული იქნება. (20—1125—1)

Adresse Télégraphique SANITAS

КАВКАЗСКОЕ ТОВАРИЩЕСТВО ТОРГОВЛИ АПТЕКАРСКИМИ ТОВАРАМИ

ТИФЛИСЪ. БАКУ. БАТУМЪ.

Адресъ телеграммъ САНИТАСЪ Тифлисъ

ᲙᲝᲡᲛᲝᲚᲘᲜᲘ

საკუთრივ „კოსმოლინის" ამხანაგობის მიერ დამზადებული,

სალცრად ანაზებს პირის კანსა და ხელებს.

მისი ხმარების წესი კოლოფზეა განმარტებული. (1—1123—1)

ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡᲐ ბერლინის უნივერს. **Გ. Გ. ᲛᲔᲒᲠᲐᲑᲘᲐᲜᲪᲘ**

ᲬᲐᲛᲚᲝᲑᲐ ᲭᲚᲔᲥᲘᲡᲐ ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ᲢᲣᲑᲔᲠᲙᲣᲚᲘᲜ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, **№ 10** ტელეფ. 792. (თ. 100—1534—96)

ᲡᲐᲒᲣᲠᲗᲐᲚᲝᲖᲔ

მშვენიერ ადგილას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6. საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(წ. 1147 241)

დიდუბის ღვთის-მშობლის ეკლესიის

ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ

აცნობებს იმ პირთ, რომელთაც განაცხადეს სურვილი ხსენებულ ეკლესიის მრევლობისა და ირიცხებიან ამ თაობაზე შედგენილ სიებში, რომ, სასულიერო მთავრობის განკარგულებით, კვირას, 26 ამა თებერვალს, წირვის შემდეგ, დანიშნულია განმეორებითი არჩევნები ეკლესიის მნათისა და სამზრუნველოს წევრებისა დიდუბის ეკლესიისთვის.

წირვა დაიწყება დილის ცხრა საათზე. (2.251.1)

ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲛᲐ

ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲛᲐ

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საბებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.

აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და **მიწის მზომელთა** სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო** და **სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ადგილას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

იღებს პირობებით. მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამო- 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1. входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (не далеко отъ памятн. Воронцову).

(თ. 1084.94)

ᲔᲥᲘᲛᲘ Შ. Ა. ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲫᲔ

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.--6½ საათ. კახეთის ქ., №

ᲔᲥᲘᲛᲘ Ვ. ᲛᲣᲡᲮᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9--11 ს. დიდი მთავრის ქ., **№ 67,** სახლი სვანიშვილისა.

ᲕᲐᲒᲖᲚᲘᲡ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. **№ 8,** ტელეფონი **№ 695.**

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

ბა. პოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

ᲬᲐᲛᲚᲝᲑᲐ ,,606 -

(წლ. 1090 278)

ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდ ქუჩაზე, №3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

-ვადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

ბოჟოვსკი. ორშ., ოთხშ., პარასკ.. კვირ. 4—5 საათ.

არგუთინსკი, შინაგ., ბავშვ. ყოველ დღე 9½ სათ. 11 ს.

მონსე. ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ორშაბ., ოთხშაბ., პარასკ. 1½—3 საათ.

ნოვიცკი. ქალთა ავადმყ., ყოველ დღე 1—2 საათ.

კალამკაროვი. ქალის ავად. ყოველ-დღე გარდა ხუთშაბათისა, 12—1 სათ.

გრეიცი. თვალისა, 1—2 საათამდე.

უკლადნიკოვი. შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.

რიდელი. შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თეთრაძე. სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყოველ-დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—1 სათ.

ბალდინა-ნოვიცკაია. ყელისა, ყურისა, ცხვირ. ყოველ დღ. 11—2 ს.

რუდენკო. შინაგ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

ვესელოვზოროვი ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

ტერ-ნერსესოვი. ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—1½ ს.

იოსელიანისა ქალთა ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ბაგდოევისა, კბილ. ყოველ დღე 3—5 ს.

ლიმონი. კბილ. 10—1 ს.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ ,,606"-ს საღამოს 5—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის თიშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერის შრატით. შარდის სადენთა ცისტოსკოპი და კატეტერიზაცია. (თ. 1032—54).

ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡᲐ

Ი. Ე. ᲗᲘᲥᲐᲜᲐᲫᲔ

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5--7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. **№** 18, თავ. ვაჩნაძისა. ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 110)

ელექტრონისა და რენტგენის

ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

ᲛᲘᲮ. ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., **№** 20. (წ. 1249 81).

ᲔᲥᲘᲛᲘ Ა. Ნ. ᲓᲘᲐᲡᲐᲛᲘᲫᲔ

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. **№** 3, ს. გაბაშვილისა. (უ)

ᲔᲥᲘᲛᲘ კბილისა **ᲜᲘᲜᲝ ᲠᲪᲮᲘᲚᲐᲫᲔ**

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. **№** 5.

ᲔᲥᲘᲛᲘ Კ. ᲐᲠᲓᲐᲖᲘᲐᲜᲘ

შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი--ქარები). ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, **№** 3. დილის 9--12 ს. საღამოს 5--7. (25.899.51).

ᲔᲥᲘᲛᲘ Ე. ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქ. **№** 12 ს. (9—49).

ᲔᲥᲘᲛᲘ Ე. Ი. ᲛᲘᲜᲐᲡᲘᲐᲜᲪᲘ

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე, ელისაბედის ქ., **№** 39, ტელეფონი **№** 1067. (100—1117—102).

ᲔᲥᲘᲛᲘ დ. სურამში **ᲐᲞᲝᲚᲝᲜ ᲚᲣᲙᲐᲡ ᲫᲔ ᲢᲧᲔᲛᲐᲚᲐᲫᲔ**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღეს. (თ.—125—7)

ᲔᲥᲘᲛᲘ კბილისა **ᲐᲚ. ᲡᲝᲚᲝᲦᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5--7 ს-მდე. გოლოვინის პრ., **№** 12. სახლი მდივნისა.

ᲔᲥᲘᲛᲘ Ი. Ი. ᲒᲔᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.

მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედის** ქ., № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—249—4)

ᲔᲥᲘᲛᲘ კბილისა **იოსებ ზაქარიას ძე ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘ**

მიიღებს დილით **9**-დან **2**-მდის და საღ. 4-დან 5-მდის. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხავს ხელოვნურ კბილებს. ტფილისი, მიხაილოვის პროსპ. **№ 7.** (50--1552-40)

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ, 23 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ

ჩინეთის ამბები. ის გასაოცარი პოლიტიკური ცვლილება, რომელიც ჩინეთში მოხდა, სამართლიანად მთელი ქვეყნის ყურადღებას იქცევს, ჯერ კიდევ შეუძლებელია ნათლად გათვალისწინება ჩინეთის პომავლისა, შეუძლებელია გამორკვევა, რანაირ ცვლილებას შეიტანს განახლებული ჩინეთი საერთაშორისო პოლიტიკაში. მეორის მხრით, დიდს ეჭვს იწვევს თვით რესპუბლიკის სიმტკიცე. თავისებური რესპუბლიკა დამყარდა ჩინეთში. მეფე ისევ თავის ტრადიციულ პრივილეგიებს ებღაუჭება, თუმცა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაზე ხელს იღებს. ჩინეთის იმპერატორს თავისი თავი კონფუცის მოადგილედ მიაჩნია. ამ თეოკრატიულ შეხედულებას მაგრად ჩასჭიდეს ხელი ჩინეთის ძველი წეს-წყობილების დამცველებმა.

დღეს თუ არა ხვალ, ეს თეოკრატიული შეხედულება და რესპუბლიკანური აზროვნება ერთმანეთს შეეჯახება. ერთი მეორის მოწინაღმდეგე მომენტთა შორის კონფლიქტი აუცილებელია. მაგრამ ამას გარდა, კიდევ მრავალი სხვა დაბრკოლებაა მოსალოდნელი.

ფრიად ძლევა-მოსილი იყო რესპუბლიკანური მოძრაობა, ერთბაშად დაამხო იმპერია, მაგრამ მაინც ძველი წეს-წყობილების მომხრეთა რიცხვი ბევრია. ისინი არ მოისვენებენ და, უეჭველია, ჩუმს ბრძოლას განაგრძობენ. უცნაური ამბები დატრიალდა ჩინეთში, მაგალითად, უკანასკნელ ხანებში. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, პეკინში დაიწყო სალდათების აჯანყება. ეს აჯანყება სრულიად არა ჰგავს რესპუბლიკის მომხრე ჯართა ჩვეულებრივ მოძრაობას. გამხეცებული ბრბო დაძრწის ქუჩა-ქუჩა, სძარცვავს დუქნებს და საზოგადოდ ყოველ-გვარ სისაძაგლესა სჩადის. ეს უკვე რევოლუცია კი არ არის, არამედ თავ-აშვებული თარეში საზოგადოების ნაძირალთა. რამ გამოიწვია ასეთი აჯანყება? ბევრი მიზეზს იმაში ეძებს, რომ სალდათებს ჯამაგირს დროზე არ აძლევენო. ადვილად შესაძლებელია რამდენადმე ეს მიზეზიც იყოს, მაგრამ უფრო ჭკუასთან ახლოა ის მოსაზრება, რომ ძველ წეს-წყობილების მომხრეთ ჰსურთ ამ საშუალებით ევროპის სახელმწიფოთა ჩარევა გამოიწვიოს.

ევროპის სახელმწიფონი დიდი ხანია ალმაცერად უცქერიან ჩინეთის რევოლიუციას, მაგრამ რევოლიუციონურმა მწყობრმა და შეგნებულმა მოქმედებამ შეუძლებელი გახადა შინაურ საქმეებში ჩარევა.

დღეს კი ვხედავთ, რომ ჩინეთის სატახტო ქალაქი, პეკინი, ბრბოს სათარეშო მოედნად გადაქცეულა, და ევროპიელებიც ეშურებიან, ისარგებლონ შემთხვევით. ამერიკას, ინ-

გლისს, გერმანიას, რუსეთსა და იაპონიას გადაუწყვეტიათ, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ერთად იმოქმედონ.

ჩინეთში კვლავ საყურადღებო სურათი იშლება და ვნახოთ, მომავალი რას გვიჩვენებს.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„ზაკავ. რეჩში“ მოთავსებულია ბ. გ. რ. დ. წერილი: **„ყოვლად სამღვდელო დავითთან“**; მოგვყავს იგი სავსებით:

ათასნაირმა მითქმა-მოთქმამ ალავერდის ეპისკოპოსის, ყოვლად სამღვდელო დავითის, მიერ სინოდალურ კანტორის წევრებიდან გადადგომის თაობაზე იძულებულ მყვეს პირადად მენახა მათი მეუფება. აღმოჩნდა, რომ ეს არც ისე ადვილი იყო, როგორც ვფიქრობდი. ეპისკოპოსი დავითი ღრმა მცოდნეა საზოგადოებრივ ცხოვრებისა და სასიამოვნო მოსაუბრეც დღევანდელ საკითხებზე. მაგრამ როდესაც საქმე იმის პირად ცხოვრებას შეეხო, მე ყოველივე გამოცდილება და საშუალება ვიხმარე, რომ მისგან ზოგიერთი აზრი მაინც შემეტყო.

— თქვენ თვითონ დაანებეთ თავი სინოდალურ კანტორის წევრობას, თუ დაგითხოვესთ?—დავეკითხე.

— თვით თხოვნა მივეცი, რომ წევრობიდან გავენთავისუფლებინეთ,-დაუფარავის უსიამოვნებით მიპასუხა მათმა მეუფებამ

— მაგრამ რისთვის ან რამ გაიძულათ ასე მოქცეულიყავით! კანტორის წევრს ხომ ჯამაგირი აქვს?

— ნუ მეკითხებით, მაგას საზოგადოებრივი მნიშვნელობა არა აქვს...

— თქვენ პირველი ქორ-ეპისკოპოსი ბრძანდებით და როდესაც ეგზარხოსი აქ არ იმყოფება რატომ თქვენ არ განაგებთ ეპარქიას? ყველგან ხომ ასეთი წესია; პირველი ქორ-ეპისკოპოსი იჭერს ეპარქიის უფროსის ადგილს.

— არც მაგასა აქვს საზოგადოებრივი მნიშვნელობა.

— რატომ არ გნებავთ მიპასუხოთ? ვისარგებლე მისი ღიმილით და შევეკითხე: რატომ არ ამბობთ სიმართლეს, როდესაც დაუფარავად, საჯაროდ ლაფს ასხამენ ქართველ სამღვდელოებასდა საზოგადოებას?

— ილაპარაკეთ გარკვეულათ, მირჩია ყოვლად-სამღვდელომ და თვისი ჭკვიანი თვალები, რომელშიაც ნაღველი გამოკრთოდა, თვალებში გამიყარა: მაგალითად?

— მაგალითად, 1911 წლის „ცერკოვნია ვედომოსტის“ ნომერში ვინმე არხიმანდრიტი ზინოვი, რომელსაც უწინ კავკასიაში უმსახურია, მთელს ქართველ ერს რუსების სიძულვარეში სდებს ბრალს, ხოლო ეპისკოპოსი სერაფიმი ამბობს, ვითომც ეგზარხოსი ნიკონი ისეთ პირთ მოეკლათ, რომელნიც გარს ეხვივნენ და რომელთაგანაც ზოგიერთი სამღვდელო ხარისხითაც იყო აღჭურვილიო, რატომ არ ამოიღეთ ხმა?

მე გვიან შევიტყე ეგ ამბავი,—მიპასუხა ყოვლად სამღვდელომ. ხოლო, როდესაც გადავიკითხე ეს საოცარი ამბავი, ძლიერ აღვშფოთდი, ველარ შევძელი ამ ცხადი სიცრუისა და ცილის-წამების მოთმენა და ყოვლად სამღვდელო სერაფიმს მივსწერე, რომ თქვენ, პატივცემულ მღვდელმთავარს, არ უნდა გეკადრათ ასე დაუმსახურებლად ქართველები მკვლელებად მოგენათლად და თუ თქვენ რაიმე საბუთები გაქვთ, ვალდებული ხართ დამნაშავენი მთავრობას გადასცეთ. ხოლო თუ იგი ამას მხოლოდ ეჭვით, ხმების ძალით ამბობს, მას ამის უფლება მხოლოდ თავის სახლში აქვს და კერძო საუბრის დროს... მივსწერე აგრედვე უწმ. სინოდის ობერ-პროკურორს საბლერს და ვუმტკიცებდი იმ აზრის უსაფუძვლობას, თითქოს ქართველებს რუსები ეზიზღებოდეთ. ვსწერდი აგრედვე მის შესახებ, რომ ჩვენში ბევრი რამ დასაფუძნებლად კი არა დასარღვევად კეთდება. გავაგზავნე კიდევ შენიშვნა „ცერკოვნია ვედომოსტ“-ში ზინოვის წინააღმდეგ, მაგრამ არ დამისტამბეს. იმედი მქონდა, გამოჩნდებოდა ვინმე ისეთი პირი, რომელიც ჩვენს ეკლესიის ცხოვრებაში გაუმჯობესობასა და სიმშვიდეს შეიტანდა მაგრამ ეს იმედიც დამეხშო. ამაში ბრალი უფრო ჩვენ მიგვიძღვის, ვიდრე მათ. ჩვენ პირში არ ვეუბნებით სიმართლეს, ვშიშობთ თბილი ადგილების დაკარგვას, ვიწონებთ მათს მოქმედებას, ვმლიქვნელობთ მათს წინაშე, გუნდრუკს ვუკმევთ, სანამ მათ ხელშია მართველობა, ხოლო გულში კი სულ სხვას ვფიქრობთ. წავლენ და ჩვენც მათს კიცხვას მოვყვებით. დიაღ, სწორედ ჩვენა ვართ დამნაშავენი.., ხალხში კი თავს იყრის უკმაყოფილება და გაბოროტება.

— არც თქვენ აღიარებდით სიმართლეს მოურიდებლად მათ წინაშე?

ამ კითხვაზე ყოვლად სამღვდელო მსწრაფლ წამოდგა და გამომეთხოვა.

წინადაც გამეგონა, ყოვლად სამღვდელო დავითი ნამდვილ ბერულ ცხოვრებას ატარებს და მთელს თვის ჯამაგირს საქველ-მოქმედო და კულტურულ საქმეს ახმარებსო, მაგრამ ისეთი უბრალო და სადა მოწყობილებას, რომელიც ყოვლად სამღვდელოსთან ვნახე, არ მოველოდი. დიდის სიამოვნებით დავრჩებოდი კიდევ რამდენიმე საათს ამ თავისებურ ოაზისში, რომ ამ ჩემგან არასოდეს არ ნახულ მოწყობილებით მართლმადიდებელი ეპისკოპოსისა დავმტკბარვიყავი, მაგრამ ვაი, რომ ეს უხერხული იყო!

ახალი ამბავი

ტფილისი

ქალაქის მოურავმა ქალაქის საბჭოს კომისიებს წინადადება მისცა, 15 მარტამდე წარუდგინონ ქალაქის გამგეობას 1911 წლის მოქმედების ანგარიშები.

კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა მეორე კრების მოწვევის ნება ნამესტნიკმა უკვე დართო. კრება 1913 წელს უნდა იქმნეს მოწვეული. ამ საკითხის თაობაზე ქალაქის საბჭოში გამგეობას საგანგებო მოხსენება შეაქვს.

ქალაქის მოურავის მოადგილის თანამდებობაზე კანდიდატის დასასახელებლად 26 თებერვალს კერძო კრება ექმნებაი საბჭოს ხმოსნებს.

ილიას ნაწერების გამოცემა. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მთავარმა გამგეობამ ნება დართო ექიმს მიხეილ ალექსანდრეს ძე გედევანიშვილს, გამოსცეს ილია ჭავჭავაძის სრულ ნაწარმოებთა კრებული სურათებითა და მშვენიერს ქაღალდზე. წიგნი დაახლოვებით 5 მან. ეღირება. ფართო საზოგადოებაში გასავრცელებლად ილიას ნაწერების გამოცემას თვით გამგეობა აპირობს.

ტფ. გუბერნატორმა ნება დართო ბორჩალოს მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლს, 26 თებერვალს შულავერში მაზრის თავად აზნაურთა ჩვეულებრივი კრება მოიწვიოს.

ქართულ . სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოება შეუდგა **ბესარიონ გაბაშვილის** (**ბესიკის**) თხზულებათა გამოცემას. წიგნი ნაადდგომევს გამოვა. ხელ-მოწერით ღირს **ორი აბაზი.**

იგივე საზოგადოება აცხადებს, რომ **„გრდემლის“** მეორე ნომრისათვის მასალების გამოგზავნა შეიძლება მარტის გასულამდე. მასალები უნდა გაიგზავნოს **ამ მისამართით; ტფილისი**, ოლგის ქუჩის მისახვევი № 5. **გ. რცხილაძეს.**

სოხუმ-ტუაპსე-კვალონის რკინის გზა. დეპეშათა სააგენტოს ცნობით, რკინის გზის სამინისტრომ მინისტრთა საბჭოში შეიტანა მოხსენება ტუაპსე-სოხუმ-კვალონის რკინის გზის გაყვანის თაობაზე. გზის სიგრძე 321 ვერსი ექნება და ხაზინის განკარგულებაში იქნება. სულ ხარჯი—51.666.691 მანეთია ნავარაუდევი. გზის დაწყება განზრახულია 1912 წელს, დამთავრება—1916 წელს.

ქალაქის სასაკლაოს ახალ შენობის დათვალიერება. 21 თებერვალს ქალაქის ახალ სასაკლაოს აღმაშენებელ კომისიის წევრებმა და ქალაქის საბჭოს ზოგიერთმა ხმოსანმა დაწვრილებით დაათვალიერეს სასაკლაოს ახალი შენობა. დაათვალიერეს აგრედვე ის გზა, რომელიც ს. ზ. მირზოევმა გაიყვანა და რომელიც კახეთის გზატკეცილსა და ახალ სასაკლაოს აერთებს. ნამუშევარით კომისია კმაყოფილი დარჩა.

რედაქციამ მიიღო მღ. ლ. წულაძის წიგნაკი: **„პროტესტი** ქრისტინეს გამართლების გამო **ქრისტინეს მშობლებისა“.** წიგნაკი ცოცხალის ენითაა დაწერილი და ერთ შაურად ღირს.

21 თებერვალს ტფილისში 22 ყუპასაპორტო შეიპყრეს,

შეიპყრეს მიხეილ ლაზიევის მოსამსახურე ნაცვალიშვილი, რომელსაც ლაზიევის საყასბოდან 20 მან. მოპარვა ბრალდება.

საზოგადოებანი და კრებები

ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიის კრება 24 თებერვალს მოხდება.

ახალ შეფასების გამო აღძრულ საჩივრების განმხილველ კომისიას დღეს კრება ექმნება.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მთავარ გამგეობის მორიგი კრება 21 თებერვალს მოხდა. გამგეობამ შეადგინა სია იმ კითხვებისა, რომელნიც განსახილველად საზოგადოების წევრთა საერთო კრებას უნდა წარედგინოს. აი ეს კითხვები: 1) წიგნების ვაჭრობის საქმის მოწესრიგება როგორც მთავარ გამგეობასა, ისე განყოფილებებში, 2) საქმის წარმოების ერთის წესის დამყარება, 3) რა გზით არის მოსახერხებელი უფრო მჭიდრო კავშირის დამყარება მთავარ გამგეობასა და განყოფილებათა შორის, 4) განყოფილების წევრნი ითვლებიან თუ არა მთავარ საზოგადოების წევრებად ხმის უფლებით 5) საჭიროა თუ არა საზოგადოების წესდების ზოგიერთ (2, 5 და 19) მუხლის შეცვლა, 6) წ.-კითხვის საზოგადოებისა და საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმების გაერთიანება, 7) შეცვლა წესდების მეოთხე მუხლისა იმ გვარად, რომ სპეციალურ შეწირულებათაგან 10% საზოგადოების სასარგებლოდ გადაიდოს და 8) საზოგადოების სკოლების ნაკლი და მათი შევსება.

სასამართლო

ოლქის სასამართლოს სესია სიღნაღს გაემგზავრა, სადაც 1 მარტამდე დარჩება.

ოლქის სასამართლოს სესია, რომელიც ახალციხეში იყო წასული, ტფილისს დაბრუნდა.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში გუშინ-წინ და გუშინ ირჩეოდა საქმე თელავის მომრიგებელ შუამავლად ნამყოფ **თ-დ ნიკოლოზ გულბაათის ძის ჭავჭავაძისა** და თარჯიმანის თ-დ **თარხნიშვილის** საქმე. პირველს ჰბრალდებოდა სამსახურის საქმეებში დაუდევრობა, მეორეს—სახაზინო ფულის გაფლანგვა. სასამართლომ დაადგინა: თ-დ ჭავჭაძე ითვლებოდეს სასამართლოს დადგენილების ძალით გადაყენებულად; ხოლო თარხნიშვილს აეყაროს საგანგებო პირადი უფლება და უპირატესობანი და ერთის წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა.

სამოქალაქო საჩივარი ტფილისის საგლეხო საკრებულოსი, დაახლოვებით 4000 მანეთი პალატამ შეიწყნარა და ამისი გადახდა დააკისრა თ-დ თარხნიშვილს. თუ ამ ფულის გადახდა მან ვერ შესძლო, ეს ფული უნდა გადაჰხდეს თ-დ ჭავჭავაძეს.

თ-დ ჭავჭავაძეს იცავდა ნაფიცი ვექილი კლანკი, თ-დ თარხნიშვილს—ნაფიცი ვექილი გელოვანი.

საგლეხო საკრებულოს სამოქალაქო საჩივარს იცავდა ნაფიცი ვექილი ხრისტოფოროვი.

ქუთაისი.

დაიბეჭდა და უკვე გასაყიდად დარიგდა ჩვენი მხცოვანი მგოსნის **აკაკის** ახალი პოემა „ოცნება“.

ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის ზოგიერთ ლექტორს განუზრახავთ აიღონ გუბერნატორისაგან ნებართვა პროვინციებში სხვა და სხვა თემებზე ლექციების კითხვისა.

ქუთაისის ქალაქის სასანიტარო მზრუნველებად ქალაქის საბჭოს სხდომამ 21 თებერვალს აირჩია: მ, გეგელაშვილი, მ. იოსელიანი, თ. ბახტაძე, კ. ლორთქიფანიძე, ევგენი ფანცხავა და დ. იაშვილი.

ქუთაისის ქალაქის საბჭომ დაადგინა შეიძინოს ბალახვნის ქუჩაზე მდებარე მამული სივრცით 1130 კვ. საჟენი, პ. თუმანოვისა და კოკოჩევისაგან. („ცხოვრ“)

20 თებერვალს გელათის სადგურზე ღამის ორ საათზე ვიღაც ბოროტ-გამზრახველმა **ცეცხლი გაუჩინა სადგურის კასას.** ცეცხლი დროზე ჩააქრეს; დამნაშავე ვერ შეიპყრეს.

მარტის პირველ რიცხვებში, ახალგაზდა პოეტი **ი. გრიშაშვილი,** ქუთაისში ჰმართავს საინტერესო საღამო-მეჯლისს, მონაწილეობას მიიღებენ ტფილისის და ქუთაისის ძველი და ახალი მწერლები. სხვათა შორის **კიტა აბაშიძე** წაიკითხავს ლექციას ლ. ტოლსტოი და ილია ჭავჭავაძე“.

თამარაშვილის ძეგლის ასაგებად „კოლხიდამ“ მიიღო: ფალიაშვილმა 2მანეთი, კიკვაძემ, ჩხიკვაძემ და გილოგრემ თითო მანეთი, სურკოვმა, შოთაძემ, მირიანაშვილმა და მაღლაკელიძემ ათ-ათი შაური. („კოლხ“)

კავკასი

დაიწყო თათბირი **კალიასთან საბრძოლველ** ზომების შესამუშავებლად.

ბაქო

სასიკვდილო განაჩენი. სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა „გოროდოვის“ არშინიკოვს, რომელსაც ბოქაულს სროლა აუტეხა.

ბათომი.

საკურორტო საზოგადოებაში. 19 თებერვალს, საღამოს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში მოხდა საკუროტო საზოგადოების წევრთა კრება. კრებამ საზოგადოების თავმჯდომარეთ აირჩია ექიმი სოლოვკინი, გამგეობის წევრებათ: ბ. ბ. კუზიატინი, ლისტოვი, მდივანი, სობელევსკი, გენერალი პარაიკოში, ლიუბავსკი და საბახტარიშვილი. მათ კანდიდატებთ: ბ. ვერუ; ბ. ბ. ფუქსი და რაკოვიცა გაამავეს, საზოგადოების მდივნათ ბ. ბ. სახნოვსკი და ხაზინადრათ ბიალუსკი.

გრ. პეტროვის ლექცია. როგორც გავიგეთ, ცნობილი მწერალი და ლიტერატორი გრ. პეტროვი ბათუმში 31 მარტს და 1 აპრილს ლექციებს წაიკითხავს საზოგადო საკრებულოს დარბაზში.

ბათუმის საგუბერნიო ქალაქად გადაკეთება. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, კითხვა ყოფილა აღძრული ბათუმის საოლქო ქალაქიდან საგუბერნიო ქალაქად გადაკეთებაზე. პროექტის განსახორციელებლად [illegible] დაწესდეს საოლქო სასამართლო, სახაზინო [illegible] ნიო დაწესებულებანი. განძრახულია ბათუმის ფარგალს შეუერთონ სოხუმის ოლქი, გაგრა, ფოთი და ოზურგეთის მაზრა.

გემთა მიმოსვლა. ბათუმში მივიდენ შემდეგი საზოგადოების გემები; ინგლისის - „არლეი“ და „ნანეტა“, ბელგიის—„აბშერონი“ გერმანიის—„მეფე ნიკოლოოზ II“, რუსის საზოგადოების „ვესტა“ და მერკურიის—„მაკაევი“. („ბ. გ.“)

ეპ. ლეონიდე და თავ. ოტია დადიანი

ეპისკოპოს ლეონიდესა და თავ. ოტია დადიანს შორის დაიბადა უთანხმოება, რომელსაც საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. ამ უთანხმოების გამო გაზეთ „თემში“ დაიბეჭდა წერილი ეპ. ლეონიდისა დადიანის მიმართ; ეს წერილი რედაქციისთვის გადაუცია ერთს საზოგადო მოღვაწეს. მოგვყავს უმთავრესი ადგილები ამ წერილისა.

1888 წლამდინ ს. მარტვილში არსებობდა ორი სამრევლო ეკლესია—ნახარებოუსა და ცნობილი მარტვილის დიდებული ტაძარი. ყოველთვის თავისუფლად და დაუბრკოლებლად სარგებლობდნენ მარტვილელები ხსენებული ეკლესიებით, ე. ი. ერთშიაც და მეორეშიაც ისრულებდნენ იგინი ყოველგვარ ქრისტიანულ მოთხოვნილებებს და მათ ეზოებში ასაფლავებდნენ თავიანთ მიცვალებულებს. ნაჩვენები წლიდან კი, თანახმად ადგილობრივი ეპარქიის უფროსის წარდგენისა, უწმინდესმა სინოდმა ორივე ეკლესია გამოაცხადა მონასტრად და სოფლელები დატოვებული შეიქნენ უეკლესიოდ და უსასაფლაოდ. აგერ ოცდა ხუთი წელიწადია, რომ ხალხი აუწერელ გაჭირებას განიცდის და ვერა მოუგვარებია რა, რადგანაც უკიდურესი სიღარიბის გამო ხელს ვერ ჰკიდებს სასაფლაოს შეძენას და ახალი ეკლესიის აშენებას.

1909 წელში მარტვილელებმა დაწვრილებით ამიწერეს თავიანთი აუტანელი მდგომარეობა და ცრემლით შემევედრნენ აღმეძრა სადაც ჯერ არს შუამდგომლობა, რომ მათ დასთმობოდათ სამრევლო ეკლესიათ ნახარებოუს მონასტრის ეკლესია მისი კარმიდამოთი. ეს თხოვნა ყოვლად სამართლიანი და შესაწყნარებელი იყო. მე დიდ ცოდვად მივიჩნიე ორი ბერის გულისათვის ორასი კომლის უეკლესიოდ დატოვება და ამის გამო აღ-

---

შლისელბურგში

ვერა ფიგნერის ნაამბობი *).

პეტერბურგის შემოდგომის ჩვეულებრივი ყომრალი დღე იყო, 1884 წ., კარგად მახსოვს ეხლაც. პეტროპავლეს ციხის საკანში ელვასავით შემოვარდა მოხუცი ნაფიცი. ასე ეძახიან ციხის ზედამხედველებს, გადამდგარ სალდათებს, რომელნიც მეორედ, განსაკუთრებით იღებენ ფიცს პეტროპავლეს ციხეში სასამსახუროდ და მით თითქოს თავის ნებით სამუდამოდ იმწყვდევენ თავს.

ეს ნაფიცი სასტიკი იყო, ბოროტი. ვხედავდით, როგორ მხეცურად, ზიზღით გადმოგვხედავდა ხოლმე ტუსაღებს, ვეჯავრებოდით, ვძაგდით, გვძულდა ის ჩვენც. იმისათვის აღდგომა იყო, როცა რაიმე გვაწყენინებდა, გულს მოგვიკლავდა, თითქოს სამაგიეროს გვიხდიდა, რომ სამუდამოდ იყო იმ დაწყევლილს ალაგას გამომწყვდეული. ჩემთვის კი ყოველი ახალი ამბავი, რასაც კი ის გადმომცემდა პეტრო-პავლეს ციხეში ჩემი მთელი ორი წლის ყოფნაში, მხოლოდ უბედურებას მოასწავებდა.

ნაფიცმა ტახტზე დააგდო ტყავის ჯუბა იატაკზე კი ნაბდის წყვილი თბილი ფეხსაცმელი, მხეცურად გადაათამაშა საკანს თვალი, რომლითაც შევატყე—ჩემი ისეთი ამბავი მისთვის აღდგომა იყო, და მრისხანედ და ჩქარა მითხრა:—აბა, ჩქარა ჩაიცვით, თბილად!

შევსწუხდი, ავღელდი, არ მოველოდი.

— ნეტა სად მივყევართ აქედან?! ვეკითხებოდი ჩემს თავს. ვიცვამდი რაც თბილი რამ მქონდა-ტუსაღურ მუქ ქვედატანს, ფეხის ტილოებს, ნაბდის ფეხსაცმელებს, თან ფიქრის ბურანში ვიყავ გახვეული, ვერ გამერკვია რა მომელოდა: ეს ტყავი ჩემს გონებას ციმბირის ტრიალ, თოვლიან მინდვრებისაკენ იტაცებდა.

გათავდა ჩვენი გასამართლება. სიკვდილით დასჯა გადამიწყვიტეს. მაგრამ ორი დღის შემდეგ ციხის უფროსმა დიდის ამბით გამომიცხადა პატიება და ცივად მოსჭრა:

— სამუდამო კატორღა!

გონება არ დამებნა, ზარი არ დამეცა ამის გაგონებაზე, მაგრამ გონებაში მაშინვე ის წარმომიდგა: სად გამატარებინებენ ამ სამუდამო კატორღას?

— აქ, ალექსეევის რეველინში**) ხომ არა და?! ჟრუანტელი მივლიდა ტანში ამის გახსენებაზე. ტყავი და ნაბდის ფეხსაცმელები ეხლა ნიშანი იყო შორს მოგზაურობისა.

— შლისელბურღში?! ხალხის თანა პროცესის დროს, ამ ერთი თვის წინად, ერთმა ამხანაგმა დაგვიყვირა:

— ჩვენთვის განსაკუთრებული საზარელი ციხე შლისელბურღშიაო.

— თუ შორეულ ციმბირისაკენ გამასეირნებს ეს ტყავი?

მე უკვე წარმოვიდგინე ვითომ უკვე ორ ჟანდარმთან ერთად მივდივარ დიდი ხანია ხან მარხილით, ხან ურმით სამშობლო რუსეთის თვალუწვდენ მინდვრებით იქ, შორს, კარაში, სადაც მაშინ საქალებო პოლიტიკური ციხე არსებობდა.

მაგრამ აი გაისმა მრავალი ფეხის ხმა. გაიჩხაკუნა კლიტემ. გამოგვიყვანეს. თოფიან სალდათებ შუა დიდხანს მივყევართ სხვა და სხვა გასავალ-გამოსავლით მთავარ კორდეგარდიაში. აქ ციხის უფროსის ოთახში ჩემსა და დარაჯთა გარდა ვიღაც ტანმორჩილი, სამოქალაქო ტანისამოსში გამოწყობილი კაცი იყო. ნეტა რას აკეთებს აქ? როგორღაც გვერდი შემოუქცევია, არ მიყურებს.

მოხუცი ციხის უფროსი შეშფოთებულია, შემკრთალი, უფროსის კილოს ვერ იჭერს,

— გამოშალეთ ხელი!-მიბრძანა მან გაუბედავად.

ხელი გავიშვირე.

ჩემს ახლოს მდგარმა იმ კაცმა ხელი მომკიდა, თითქოს მაჯას მისინჯავდა. სახეზე შემოხედვის ერიდებოდა, თვალი თვალს ვერ შევუხვედრე. მომეჩვენა, თითქოს ის ფერმკრთალი იყო.

— ნეტა რად მექცევა ასე? გამიელვებდა ხოლმე ელვასავით, მტანჯავი ფიქრი. რად მისინჯავს მაჯას? განა კიდევ მომელის რამე საშინელი? ნუ თუ კიდევ რამე უნდა ვნახო და ვიგრძნო ისეთი, რომ გონება დამეკარგოს? ციხის უფროსის ისეთი არეულობა მიმტკიცებდა, რომ კიდევ რაღაცა საშინელი რამ უნდა გამომეარა.

— მაპატიეს, დიახ, სიკვდილით დასჯა აღარ მომელის, მაგრამ ის რად ღელავს ისე? იქნება მაინც უნდა წამიყვანონ სახრჩობელაზე, რომ ამხანაგების დახრჩობას მაყურებინონ. სახრჩობელას ქვეშ დამაყენებენ,, რომ დავინახო კარგად, როგორ დაახრჩობენ ჩემს ამხანაგებს, როგორც ეს უყვეს დასტოევსკის და სხვებს!!. თავზარი მეცემოდა, გონება მებნევოდა, ვიყინებოდი შიშის ზარისაგან ამას რომ წარმოვიდგენდი უკანასკნელ ძალას ვიკრებდი, რომ მაგრა ვყოფილიყავი, გარეგნული სიმშვიდე მაინც დამეცვა. მომაგონდა დედა.

— უთხარით დედას, რომ ბოლომდე მაგრა, ყოჩაღად ვიყავი, ვუთხარი მე ციხის უფროსს.

— ვეტყვი, ვეტყვი! მეუბნებოდა ის დაბნეეით.

ამდროს კაცი, მაჯას რომ მისინჯავდა, ფანჯარასთან მივიდა, არ გვიყურებდა.

— უთხარით დედაჩემს, რომ იშვიათად თუ გავიგებ ხოლმე მის ამბავს და მექნება წიგნები, სამუდამო კატორღაშიაც დიდხანს გავძლებ, მაგრამდა ვარ-თქო! უთხარით თავს გაუფრთხილდეს, მე კი ვეცდები დიდხანს შევინახო თავი.

— კარგი, კარგი! გადავცემ, გადავცემ! უფრო არევითა და დამნაშავის კილოთი მეუბნებოდა ციხის უფროსი.

იმ კაცს შეხედავდა ხოლმე, რომელიც ფანჯარასთან რაღაცას აკეთებდა ზურგ-შემოქცეული. „შტატსკი“ ისევ მოტრიალდა, მოვიდა, გვერდში ამომიდგა.

— გამოაშვირეთ ორივე ხელი!— მითხრა უფროსმა ისევე გაუბედავად, აბნევით, პირშავად, თან თვალს მარიდებდა.

რაღაცა საშინელების სუნი ტრიალებდა ჰაერში. ვგრძნობდი, იმ წამს რაღაც საზარელი რამ უნდა მომხდარიყო. გაფაციცებით ვადევნებდი თვალყურს ყველაფერს, ვიტანჯებოდი, ცეცხლი მედებოდა; მაინც ვერ გამეგო რა უნდა მომხდარიყო, საიდან, ისეთი უბედურება, რომელიც ჩვეულებრივ მეციხე-უფროსსაც კი აღელვებდა, რას ნიშნავდა იმის განკარგულება—გამოაშვირეთ ხელები!—ვერ გავიგე. ამიტომაც ხელები მაღლა არ გამიწვდია. ჩამოვარდა ჩემთვის გაუგებარი სიჩუმე, სიჩუმე მტანჯველი.

— გამოაშვირეთ ხელები!—ესღა მიტრიალებდა თავში, მეორდებოდა დაუსრულებლივ.

ხელები გავაშვირე. უცებ შეინძრა ის კაცი. გენია მომედო, ჭირის ოფლი დამასხა, გავქვავდი—იმ კაცს ხელში ჯაჭვი დავუნახე და ერთი წუთის შემდეგ ხელებზე ბორკილები მედო.

არ ვეწინააღმდეგებოდი, არ ვეურჩოდი, არ ვიკაწრებოდი, არ ვიკბინებოდი! გავქვავდი! დავმორჩილდი, დავნებდი! დამადეს თუ არა ბორკილი ხელებზე—სიმბოლო მონობისა, ვიგრძენ, რომ სხეული წამართვეს, რაც უნდათ იმას უზამენ. იგი მე აღარ მეკუთვნის.

— გამაგრდი, ვერა, გამაგრდი! ყოჩაღად იყავ! ყველაფერი უნდა გადაიტანო, ვერა!!!...

გონება არ დამიკარგავს, არ წავქცეულვარ. მტაცეს ჟანდარმებმა ხელი, გამიტაცეს სადღაც. აღარაფერი შემეძლო დამენახა. იქვე კარეტასთან წინ გაგვიარა ახალგაზრდა ნაფიცმა. ეს მუდამ მხიარული, უზრუნველი სალდათი ეხლა დადინჯებულიყო. ის განგებ გამოეყო ჯგუფიდან, რომ მე დამენახა; მან მხოლოდ ერთხელ გადამავლო თვალი, მაგრამ ამ ერთი თვალის გადავლებაშიც იმოდენა თანაგრძნობა გამოიხატებოდა, ისეთი თბილი იყო, მგრძნობიერი, რომ უსიტყვოდ მივიღე, როგორც მეგობრული გამოთხოვება.

გამოსათხოვებელი თვალის გამოყოლება ამ ფიცის ერთგულ ჯარისკაცისა, რომელიც ერთგულადა უზაროდ მდარაჯობდა, მეუბნებოდა, რომ ის სულით მუდამ ჩემთან იყო, ის ხალხის შვილი, მაგრამ უძლური იყო ჩემთვის რამე ეშველნა. თავის თანაგრძნობის თვალის გამოყოლებით მან ერთად ერთმა დამილოცა სამუდამო კატორღა. შემდეგს კარეტაში. დაიგრიალა ეტლის თვლებმა პეტროპავლეს ციხის ხიდზე და მალე მოდუნებულს, ხელებზე ბორკილის გრძნობით!ტო-ცხალ-მკვდარს ამომაყოფინეს თავი პატარა გემის პატარა ვიწრო ოთახში.

მრავალმა მცველებმა გაავსეს ოთახი. გაისმა სტვენა. ჩვენ სადაც წავცურდით.

მოვიდა აფიცერი, მკითხა თანაგრძნობის ხმით:

— ჩაი გინდათ?

— არა!—მოვუჭერი მრისხანედ.

მერმე კიდევ შემოვიდა, მკითხა:

— არა გშიანთ?

— არა!—ვუპასუხე კიდევ გაბრაზებული.

მინდოდა ჩუმად ვყოფილიყავ, მინდოდა მარტო ყოფნა. არა მსურდა ვასმე ხელი ეხლო ჩემთვის, დამლაპარაკებოდა, მზად ვიყავ რისხვით დამეყვირა ჩემ შემბორკველთა ყოველს კეთილს სიტყვაზეც კი.

ხან გავქვავდებოდი, არასა ვგძნობდი სრულიად, არას ვამჩნევდი ირგვლივ, ხან, ხელებზე რკინას რომ ვგრძნობდი, ვამჩნევდი საშინელი ბოლმა მაწვებოდა, მრისხანება, მაგრამ თავს ძალას ვატანდი და ნებას არ ვაძლევდი ეს გრძნობა გარედ გამომჟღავნებოდა.

მოქანცულობა, სიცივე, ნესტიანი ჰაერი ფუტურო გემის ვიწრო ოთახისა, რომელიც პატარა ყუთსა ჰგავდა, უმთავრესად კი—უცოდინრობა იმისა—რა მომელოდა! უკვე მივხვდი, რომ შლისელბურღში მივყავდით. რამდენიმე საათი იყო, რაც ერთი ქვის ტომარიდან დროებით მეორე ქვის ტომარაში გადავყავდით, სამუდამო დამწყვდევის ალაგას. და ეს რამდენიმე საათი ერთი ციხიდან მეორეში გადაყვანისა („საიდანაც აღარა ბრუნდებიან“! მიკაკუნებდა თავში) დაუსრულებელი მეჩვენა, მომქანცა, ძალა გამომიფიტა.

(დასასრული იქნება)

---

*) ოთხმოციან წლებში ვერა ფიგნერი ცნობილი მოხალხოსნე (ნაროდნიკი) იყო, ტერორისტულ აქტისათვის სიკვდილი გადაუწყვიტეს. დახრჩობა სამუდამო კატორღად შეუცვალეს. მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ ვერა პეტროპავლეს ციხიდან გაიქცა და დღემდე საზღვარ გარედ იმყოფება. ამას წინად ერთ რუსულ გაზეთის თანამშრომელს უნახულია იგი პარიზში და მან მაშინდელი თავის შთაბეჭდილებანი გადმოუცია. ს—გ.

**) ციხის სიმაგრე სამკუთხიანი.

ვძარი საქმე სოფლელების სასარგებლოდ. ვისგან და რაფრად შეიტყეთ ეს საქმე თქვენ, თქვენმა ძმამ თ. ივანემ, ძმისწულმა თ. ნიკოლოზმა და უგანათლებულესმა თავადმა გრიგოლ კონსტანტინესძემ დადიანმა, დღევანდლამდე საიდუმლოებით მოცულია ჩემთვის. მხოლოდ სინოდალური კანტორისაგან სრული უარი მივიღე ჩემს თხოვნაზე და ეს უარის ყოფა დამყარებულია თქვენგან საქართველოს ექსარხოსისადმი მირთმეულ საჩივარზე, რომლის პირი გამომიგზავნა იმავე კანტორამ თავის დადგენილებასთან ერთად.

თქვენი მოხსენება ჩირქსა სცხებს ჩემს პატიოსნებას და თავიდან ბოლომდე გაჟღენთილია მაგარი ჩასმენის ხასიათით.

გაოცებული, რადგანაც არაფერს ამის მსგავსს თქვენგან არმოველოდი, დაუყონებლივ შევეკითხე თ. ივანე დადიანს—რას ნიშნავს ეს გარემოება-მეთქი, მისმა ბრწყინვალებამ ღირსი გამხადა ჩქარი პასუხის: მე ამგვარი შინაარსის ქაღალდით არავისათვის არ მიმიმართავს და არც ჩემგან არის იგი ხელმოწერილიო. ასეთივე განცხადება შეიტანა მან თვით სინოდალურ კანტორაში.“

ამის შემდეგ ეპისკოპოს ლეონიდს მოჰყავს თვით თავად ოტია დადიანის წერილი, რომელშიაც უკანასკნელი აღნიშნავს, რომ იგი ჯერ ისევ მცირე წლოვანობაში ბიძის, ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსის ჭყონდიდლის ანტონის ხელმძღვანელობით იზრდებოდა. ამ ანტონმა დიდი შრომა დასდო მონასტერს და იქვე არის დასაფლავებულიო. ამის შესახებ ეპისკოპოსი ლეონიდი სწერს:

„დანამდვილებით ვიცით, რომ ანტონ ჭყონდიდელი, ნახარებოუს ეკლესიის ამშენებელი, იყო სამეგრელოს მთავრის ოტიას შვილი და, გარდა ანტონისა ამ მთავარს ჰყავდა კიდევ შემდეგი ვაჟიშვილები: კაცია, ნიკოლოზ, გიორგი და გრიგოლ. როგორც ხედავთ აქ განსვენებული მამა თქვენის სახელი სრულებით არ მოიპოება, რიდგანაც არამც თუ მამა თქვენი, ბაბუა თქვენი გიორგიც არა ყოფილა სამეგრელოს მთავრის შვილი. ეს ერთი.

მეორე ნახარებოუში დამარხული ჭყონდიდელი **ანტონ პირველი,** როგორც საჩივარშიაც სრული სიმართლით გაქვთ ნაჩვენები, გარდაიცვალა 1815 წელში და თუ მართლა თქვენ მოესწარით მას, ნაჩვენებ წელში, სულ ცოტა რომ ვთქვათ შვიდი წლისა მაინც უნდა ყოფილიყავით, მაშასადამე ეხლა ას ხუთი წლისა უნდა ბძანდებოდეთ და, სხვებს რომ თავი დავანებოთ, პირადად თქვენ თითონ დაიჯერებთ ამას?!

მესამე, თუ მართლა ნათესავების პატივისცემა გედოთ გულში, უფრო მართებული არ იქნებოდა რომ მარტვილს გამოსარჩლებოდით, მარტვილისათვის გამოგედოთ თავი და არა ნახარებოუსათვის, რადგანაც „მამითქვენის მკვიდრი ძმა“ ჭყონდიდელი **ანტონ მეორე;** ე. ი. თქვენი ნამდვილი ბიძა ასაფლავია მარტვილის მონასტერში. სამეგრელოს მთავრის დავითის საფლავის წინ და გარდაცვლილა, როგორც მისი საფლავის ქვის წარწერიდან სჩანს 1852 წელში; მარტვილშივე განისვენებენ მამა თქვენი თ. ელიზბარი და თქვენი ღვიძლი ძმა ყოვლად სამღვდელო გრიგოლი. მაგრამ არა. თქვენ სახეშიაც არა გქონიათ მიცვალებულების პატივისცემა, როდესაც დასმენის ქაღალდს ადგენდით, თორემ არც ამდენი შეცდომები მოგივიდოდათ!

ცხადია, განზრახ იწყებთ ჩასმენას იმ გარემოების აღნიშვნით, ვითომდა თქვენი აღმზდელი ანტონ პირველი ცნობილია მეგრელიის შეერთებით რუსეთთან და ჩემი საქციელით მე უპატივცემულობას ვიჩენ მისდამი.

ანტონ ჭყონდიდელს რომ რაიმე მონაწილეობა ედოს სამეგრელოს შეერთების საქმეში რუსეთთან, ეს ჯერ ქართულ მწერლობაში უცნობი ფაქტია და დიდი მადლობელი ვიქნები, თუ ამის უტყუარ საბუთებს გამოაქვეყნებთ. მანამდის კი ვერ შევეღლევი იმას, რომ ეს ფაქტი თქვენ უფრო მძლავრი ეფექტის მოსახდენად გამოიგონეთ, თორემ თქვენ სრულებითაც არაფრად არ აფასებთ იმ პირებს, რომლებსაც მართლა დიდი ღვაწლი მიუძღვით სამეგრელოს შეერთების საქმეში რუსეთთან. ეს რომ ასე არ იყოს, უსათუოდ რითიმე აღნიშნავდით თქვენს პატივისცემას ისეთი დიდებული პირისადმი, როგორც ყოფილა, ყველასაგან მივიწყებული და უყურადღებოდ დატოვებული გენერალ მაიორი ნიკოლოზ გიორგის ძე დადიანი...

როგორც ხედავთ, თქვენი საჩივარი აგებულია თავიდამ ბოლომდე ყალბსა და მოგონილ ცნობაზე. ამ საჩივრით სასულიერო მმართველობა შეიყვანეთ თვალსაჩინო შეცდომაში და მე კი პირადად სახელი გამიტეხეთ მთავრობის თვალში.

უმორჩილესად გთხოვთ მაცოდინოთ, რამ გაიძულათ ასეთი არა შესაწყნარებელი სიქციელის ჩადენა?

ამ საქმეში არავითარ ბრალს არა ვსდებ თქვენს ძმისწულს ნიკოლოზს და უგანათლებულეს თ. გრიგოლ კონსტანტინეს ძეს დადიანს, რადგანაც მშვენივრად ვიცი, რომ იმათ თვალითაც არ უნახავთ ნახარებოუს მონასტერი და მათთვის სულ ერთია იარსებებს იგი, თუ მოისპობა და თუ ხელი მოაწერეს მათი ღირსების შეუფერებელ ქაღალზე, ეს დაემართათ მათ თქვენი, როგორც უფროსის, ხათრითა და პირადი პატივისცემის გამო.

თქვენი ბრწყინვალების მაკურთხეველი და მუდამ პატივისმცემელი მდაბალი ეპისკოპოსი ლეონიდი“.

ზელიმ-ხანის ახალი რაზმი

(ფშავის ხევი).

12 თებერვალს, შუაფხოს საზოგადოების ფშავლებმა ადგილობრივ მამასახლისის მეთაურობით ს. მათურაში **შეიპყრეს ხუთი ყაჩაღი,** რომელნიც მოვიდნენ ტფილისის მხრიდან, შეიარეს ჟინვანზე და შეჰყვნენ არაგვის ხეობას. დუქნებში დადგომას ერიდებოდნენ და თავიანთ თავს ჩოდრებს უწოდებდნენ, ხბოიანი ძროხები გვინდა ვიყიდოთო. თუ ვინმე ეტყოდა, მე მყავს ხბოიანი ძროხა თუ იყიდითო,—უპასუხებდნენ; „ზევიდან უნდა დავყვეთ და როცა უკან დავბრუნდებით, მაშინ ვიყიდითო“.

შუაფხოს მამასახლისს ეჭვი აელო მათს ჩოდრობაზე, მოეკრიბა რჩეული ბიჭები და დასდევნებოდა. ღამე სოფელ მათურაში დასცემოდნენ და ხუთივე შეეპყრათ. მუქოს მღვდლის მ. ჯანელიძისა და მამასახლისის თანადასწრებით გაეჩხრიკათ ეს „ჩოდრები“, რომელთაც სრულიად არ აღმოსჩენოდათ ფული. თუმცა არც იარაღი ჰქონიათ.

ეს „ჩოდრები“ ჩაჩნეთში გადასასვლელ ბორჩალოს გზასა კითხულობდნენ თურმე და ჰსურდათ **ზელიმხანის ბრბოს** შეერთებოდნენ.

საქონლის ყიდვა და გამორეკა მათურიდან ყოვლად შეუძლებელია ზამთარში. ამ ხუთ კაცში ორს, თვალივში მოვაჭრის **ბესარიონ შანიძის** მკვლელებს ასახელებენ. დღეს ეს „ჩოდრები“ თიანეთის საპყრობილეში სხედან. **აქაური.**

ქუთაისის აჟ-კარგი

წმ. ნინოს სასწავლებლის საქმე ნელ-ნელა ირკვევა იმ მხრივ, რომ დაუსჯელი არავინ რჩება—არც დამნაშავედა არც ბრალმდებელნი. უკანასკნელნი ეუბნებიან: თქვენ მოსწავლენი ხართ, პროტესტი და ისიც საერთო თქვენი უფროსების მიმართ დიდ დანაშაულს წარმოადგენს და მიუხედავათ იმისა, რომ თქვენი სასწავლებლის უფროსი თავის ადგილზე დასაყენებელი არ არის, თქვენ მაინც უნდა დაისაჯნეთ ყოფაქცევაში სამითაო. სასწავლებლის უფროსი, როგორც ირკვევა, სამსახურს თავს ანებებს (რასაკვირველია იძულებით) და მის მაგივრად ნიშნავენ თურმე ამავე სასწავლებელში კლასის დამრიგებლათ ნამყოფ ქ-ნ გერატს. აღნიშნავენ იმასაც, რომ სამასწავლებლო მთავრობამ არა ერთსა და ორს სთხოვა ამ ადგილის მიღება და ძლივს ქ-ნმა გერატმა მიიღოვო.

⁂

დამთავრდა ქუთაისში **საოპერო** გასტროლები. მათ კერძოთ ჩვენთვის ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ დასის მონაწილეთა შორის ქ-ნი თარხნიშვილი, რომელმაც სამს ოპერაში (ტრავიატა, რიგოლეტო, ფაუსტი) **ერთის მხრით** დაგვანახვა, რომ იგი უხვათ არის დაჯილდოვებული მშვენიერის ხმით. თუმცა პატივსაცემ არტისტ ქალს შრომა დასჭირდება, რომ თავისი დიდი ნიჭის განავითაროს სავსებით და შესაფერი ადგილი დაიჭიროს თვალსაჩინო მომღერალთა შორის.

⁂

კვლავ **კონცესიამ** ამოჰყო თავი. ჩვენ გვეგონა, რომ ქალაქის თავის მოქცევის შემდეგ, ამ საგანზე ლაპარაკი მიყუჩდებოდა, მაგრამ როგორც ეხლა ირკვევა ბ-ნი ილია **ჩარკვიანის** წინამორბედებს ისეთი პირობა შეუკრავთ დადიანთან და კანცელთან, რომ მასთან განშორება სახიფათოა თურმე. ასეთი აზრი გამოუთქვამს იურისტების ერთ ნაწილს, როცა გასცნობიან საქმეს.

მკითხველს უთუოთ არ დაჰვიწყებია ის გარემოება, რომ ამ ორი წლის წინად რა თავის ტეხით ცდილობდა ქალაქის გამგეობა პირობის შეკვრას კანცელთან; არ დაჰვიწყებია ისიც, რომ ქალაქის მოღვაწეთა უმრავლესობა ქალაქის ინტერესების მოღალატეთ სთვლიდა ყველას, ვინც-კი კანცელთან ხელ შეკრულობის დადების წინააღმდეგ ხმას ამოიღებდა. უმრავლესობამ თავი გაიტანა და კანცელს პირობით შეეკრა, მაგრამ აქ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ქალაქის მოღვაწეთ უჩვენარა წინდაუხედავათ მოიქცნენ ისინი, როდესაც კანცელს შეეკვრენ ისეთი პირობით, რომელიც სულ კონცესიონერისაკენ სთლიდა და ქალაქს არაფერს უტოვებდა. ამის შემდეგ ქალაქის მოღვაწენი ჩაუფიქრდნენ საქმეს და, თანახმათ შინაგან საქმეთა მინისტრის შენიშვნებისა, შესცვალეს კონტრაქტი მაგრამ იმ შიშმავაი თუ კანცელმა ხელი აიღოს და უწყლოდ დავრჩეთო, გასჰრა და კანცელმა იმდენი მოახერხა, რომ კონტრაქტში თავის და სასარგებლოდ რამდენიმე მუხლი შეიტანა. წინაალმდეგ შემთხვევაში, თავისი წარმომადგენლის პირით განაცხადა, იძულებული ვიქნები კონცესიაზე უარი ვყოვო.

დაჰმორჩილდა ქალაქი. მაგრამ, დახეთ ბედის სიმუხთლეს?! ნამესტნიკის კანცელარიამ კვლავ საზარალოთ სცნო ქალაქისათვის ხელ-შეკრულობა და იგი ხელ-მესამეთ განსახილველად ქალაქს დაუბრუნა და თან დასძინა, რომ კანცელი მზად არის ნამესტნიკის კანცელარიის მიერ ნაჩვენები ცვლილებით დასდვას ქალაქთან საკონცესიო ხელშეკრულობა. ამით ქალაქს კანცელმა თითქმის ხელ-ფეხი შეუკრა-და ეხლა მცოდნე პირნი იკვლევენ საკითხს— შესაძლებელია თუ არა ქალაქის უზარალოდ დაირღვეს ხელშეკრულობა კანცელთან.

რას გვეტყვიან მცოდნე პირნი, გამოცნობა ძნელია, მაგრამ ის-კი ყველასათვის ცხადია, რომ ინჟენერმა კანცელმა ჩვენ ხმოსნებს თვალი იმდენად აუხვია, რომ ყველაფერზე დაითანხმა და თან გაქცევისაკენ ექირა თავი იმ დრომდე, ვიდრე დარწმუნებული იყო, რომ კონცესია მის ხელიდან ვერსად წავიდოდა, ხოლო როცა დარწმუნდა, რომ შესაძლებელია ხელიდან გაუსხლტეს წყლის გამოყვანის კონცესია ქუთაისში, ტაქტიკა სავსებით შესცვალა და ჯერ კიდევ ნამესტნიკის კანცელარიის შენიშვნები ქალაქს არ მოსვლოდა, რომ მან არც აცივა, არც აცხელა და განაცხადა—ოღონდ კონცესიას ნუ ჩამომართავეთ და მე ყოველ ცვლილებაზე მზადა ვარო.

ასეთი ფსიხოლოგია კონცესიონერისა ჩვენმა გულუბრყვილო ხმოსნებმა არ იცოდნენ და როცა პირველად კანცელს ეკვროდნენ პირობით ეგონათ ბაქოდან მოვლენილი ინჟენერი ქუთათურთა სიყვარულით იყო განმსჭვალული, როცა კონტრაქტზე ხელს აწერდა.

აი ასეთ იძტორიის შემდეგ კიდევ მოიპოვებიან ისეთი ხმოსნები, რომლებიც გაიძახიან, სჯობია კონცესიური წესით განვახორციელოთ წყლის გაყვანა კანცელის დახმარებითაო.

პასუხი გ. დ. ქადაგიძეს

(დასასრული *)

მესამე წერილში ბ. დ. ქადაგიძე, ამბობს: „თუშებს მთაში ქვის სახლები აქვთ და არა ქვიტკირისა. სახლების კედლები აგებულია მშრალი სიპის და სხ. ქვით და სრულებით არა აქვთ დატნებული ან მოზელილი მიწა, ან კირიო“. ვნახოთ თუ რამოდენა „სიმართლეა“ ამ სიტყვებში. ბ. დ. ქადაგიძეს პირდაპირ უცხო ენიდან უთარგმნია „ქვის სახლი“, ჩვენში კი არა დროს არა ხმარობენ ქვის სახლს: მაგალითად ქართლში აშენებენ ალიზის სახლებს, რომელსაც ტალახს აშველიებენ, მაგრამ ამის მიუხედავათ ამბობენ ალიზის სახლი და არა ალიზტალახისა და არა აგურ ტალახისაო. ქალაქში ზოგჯერ აშენებენ აგურის სახლს, რომელსაც აგრეთვე ტალახს ახმარებენ, მაგრამ ამბობენ აგურის სახლი და არა აგურტალახისა. ბ. დ. ქადაგიძისებურადკი გამოვიდა, რომ თუშმა ქვა ქვაზედ დადო და აიშენა სახლი. ამისთანა სახლში სწორედ გვერდები გაუთბებოდა ცივ მთაში თუშსა!! კარგია ბ. ქადაგიძემ ისე არ გამისწორა, როგორც ერთმა ჩემა ნაცნობმა,—ქვითკირისა-კი არა ქვიშ-კირისაო, რადგანაც ქვიშითა და კირით აშენებენო.

თუშების ქონების შესახებ ბ. ქადაგიძე ამბობს გაოცებით: „საიდგან იღებს ბ. დეგოთელი ამ **უტყუარ** ცნობებს!? არის ერთი ორი თუში, რომელსაც ექნებათ ბანკში 8000 მ.“ ბ. დ. ქადაგიძე, თქვენ მეზობელ ბუქურაულს აუარებელი ცხვრის გარდა ორასი ცხენიც ჰყოლია, რომლითაგან 100 შარშან გაუყიდნია. იანგარიშეთ თითო ცხენი 50 მ. (თორემ ეხლა ვინ მოგცემთ ჯოგის ცხენს 50 მ.) მარტო ეს გამოვა 5000 მ. მაგის გარდა აი რას ამბობენ აქაური გამოცდილი მეცხვარეები: თითო (ცხვარს საშუალოთ რომ ვიანგარიშოთ მანეთი ბატკანი, მანეთი მატყლი და მანეთი ყველი, წელიწადში სამი მანეთი შემოაქვს, გასავალი-კი—საბალახე, მწყემსი და სხ., თითო ცხვარზედ დახლოვებით მანეთია. ასე რომ ნაღდი მოგება მეცხვარეს ორი მანეთი რჩება. ამის შემდეგ რა არის საკვირველი, რომ ისეთ მეცხვარეს, რომელსაც 5000—7000 სული ცხვარი ჰყავს ბანკში 3000—5000 მ. ჰქონდეს?! ამ შემთხვევაში ჩემის ჩემის აზრით თქვენში?! იჩინა თავი სოფლის მუშა კაცის ფსიხოლოგიამ; ის ძველადვე ისეა დაშინებული, რომ უეჭველად უნდა მალოს თავის სარჩო-საბადებელი.

ჩემი წერილის ის ადგილი, სადაც მე თუშთა შორის ქორწინებას ვეხებოდი, ბ. ქადაგიძეს ხომ დომხალივით აურევია. თითქოს კიდეც მეთანხმება, თითქოს არა. წერილის ავტორი ამბობს: „თუშს აკრძალული არა აქვს ბარის ქართველი ქალი შეირთოს. ჩვენში რამდენიმე კაცია (ნასწავლი და უსწავლელი, რომელთაც ცოლებათ არა თუშის ქალები ჰყავთო“. ბ. ქადაგიძე, მართალია თუშს სარწმუნოება არ უკრძალავს უცხო ქალის შერთვას, მაგრამ თუში მაინც არ ირთავს და აი სწორეთ ამ აზრით ვამბობ მეც. რაც შეეხება თქვენგან მოყვანილ ორიოდე მაგალითს, მეც ვიცნობ იმ ორ ძმა ნასწავლებს და ერთ-ორ უსწავლელსაც, რომელთაც უცხო ქალები ჰყავთ ცოლებად, მაგრამ, განა შეიძლება თითო ოროლა მაგალითით ვიხელმძღვანელოთ იქ, სადაც საერთო მოვლენაზე გვაქვს ლაპარაკი?! მაგალითად მე მყავს კარგი ქართველი ამხანაგი, რომელსაც თათრის ქალი ჰყავს ცოლად, მაშ თქვენ იტყვით, რომ ქართველები დიდის სიამოვნებით ირთავენ თათრის ქალებს?! ბ. ქადაგიძე თავის წინაალმდეგ აქვე დამემოწმა,—მართალია, რომ ჩვენ ქალებს არ ეჭაშნიკებათ, როდესაც ჩვენ ვირთავთ „უცხო ქალებს“. „უცხო“ რძალს ყველაზე უფრო განზე გაურბის დედამთილიო და სხ. მაშ რაღაზედ მეჯავხებით ბ. დ.?! აი კიდევ ერთი მაგალითი თქვენ წინაალმდეგ: ერთხელ რამდენიმე ერთად შეკრებილ წოვა თუშს შევეკითხე—რატომ სხვა ქართველ ქალებს არ ირთავთ, ისინიც ხომ ისეთივე ქრისტიანები არიან როგორც თქვენა მეთქი. თუშებმა თითქმის ერთხმად მიპასუხეს:—ჩვენ რომ სხვა ქალი შევუშვათ სახლში ენას დაგვიკარგამსო. მე მგონი ეს სიტყვები ყველაფერს გარკვევით გვეუბნევა.

დასასრულ უნდა მოგახსენო, ბ. ქადაგიძე, რომ ჩემის აზრით, თქვენ ისე ჩემ წერილში მოყვანილმა ყალბმა ცნობებმა არ გაგაჯავრეს, როგორც წერილის უდროობამ, მეტადრე ეხლა, როდესაც გაცხარებული ბრძოლა არის წოვსა და ჩაღმა თუშებს შორის მამულების გაყოფის გამო. მაგის გარდა თქვენ როგორც **ამავ** წოვა თუშს არც ლეგენდა გესიამოვნათ. მე კი უნდა გამოგიტყდეთ და სიმართლე მოგახსენოთ, რომ მე პირადად თუში არა ვარ და არც შეიძლება თქვენსავით რაიმე განზრახი მოსაზრება მქონოდეს, როდესაც თუშების შესახებ ვწერდი. მე ერთნაირად უყურებ როგორც წოვას, აგრეთვე ჩაღმას, რადგანაც დღეს ორივენი ქართველები არიან. **დეგოთელი.**

P. s. მე რადგანაც შორ პროვინციაში ვცხოვრობ, სადაც გაზეთები გვიან მოდის, ამიტომ ბ. დ. ქადაგიძე'ს პასუხი ცოტა დაუგვიანე.

ჩინეთის რესპუბლიკა

დეპეშები.

კელნი, „კელნიშე ცაიტუნგს“ ცნობა მოჰსვლია ბერლინიდან, ჩინეთში გერმანიის ქვეშევრდომთა დასაცავად ცინდაოში დაბანაკებულ გერმანელთა რაზმის 100 კაცი წავაო. გერმანიის ელჩს ასი კაცი ჯერ-ჯერობით საკმაოდ მიაჩნია.

ვაშინგტონი. პეკინში მყოფ ამერიკის ელჩს დაავალეს მანილიდან 700 კაცი დეპეშით დაიბაროს, რადგანაც აუცილებლად საჭიროა სამხედრო ძალების გაძლიერებაო.

კულჯა. მანჯურთა სუმუნებში მოძრაობა გაძლიერდა. მთავრობის წარმომადგენლებს უწყალოდ ჰხოცვენ, ზოგი ცხენის კუდს გამოაბეს და ისე ათრიეს. კარაყირგიზებიც ჰღელავენ.

ხარბინი. თიანძინის კონსული იტყობინება თიანძინის დაწვა-გაძარცვის ამბავს და მოითხოვს რუსეთის კონცესიების დასაცავად ხარბინიდან ჯარის გაგზავნას. სამ როტის გაგზავნას აპირებენ.

პეკინი. ქალაქში მშვიდობიანობაა. ამბობენ, შანსის პროვინციაში მოძრაობა გაძლიერდაო.

შენიუნიდან წამოსული ჯარი მიადგა ტუნგუანს, რომელიც საზღვარია პენსის და შანსის პროვინციებისა. რადგანაც იუანშიკაი ვერ მოახერხებს ნანკინში წასვლას, ნანკინის კომიტეტი პეკინში ჰგზავნის თავის წარმომადგენლებს დროებით მთავრობის საჩქაროდ შედგენის თაობაზე მოსალაპარაკებლად.

მუკდენი. გენერალ-გუბერნატორს ფული ძალიან უჭირს. ზოგიერთი დაწესებულება დაიკეტა. იუანშიკაის ჯაოერსუნმა აცნობა, საქმე ცუდად არის, ამბოხება მოხდებაო. სამხედრო პირების ამბოხების გამო პეკინში არსებული „უშიშართა საზოგადოება“ სამხრეთის ჰგზავნის თავის ხალხს ჯარში რესპუბლიკის საწინააღმდეგო აზრების ქადაგებისთვის. გირინის გუბერნატორი სამსახურიდან გადადგა.

ხანკოუ. ცზიუცზიანში ძველი ჯარი აჯანყდა და ქალაქს ძარცვა დაუწყო. ევროპიელთა უბანი უზრუნველყოფილია.

ციციკარი. მუკდენიდან გუბერნატორს ბრძანება მოუვიდა, ქაილამართან ურთიერთობა განაახლე და ურჩი მონგოლებს, რესპუბლიკა აღიარონო.

არეულობა სპარსეთში

დეპეშები.

ჯულფა. ახალგაზდა ჯარისკაცთა ეშელონები მოვიდა. მათ ქოისა და თავრიზს ჰგზავნიან რუსეთში წამოსულ ჯარის მაგივრად.

ურმია. გუბერნატორი რუსეთის საკონსულოს ბესტში ჩაჯდა.

ოსმალეთ-იტალიის ომი

ტრიპოლი. 22 თებერვალს დილას მხედართა ბატალიონი აქლემებით აინზარიდან დასაზვერად წავიდნენ. მოულოდნელად მარჯვენა მხარეს მიმავალ როტას 300 არაბი დაეცა, რომელთაც ჰსურდათ აინზარისკენ დასაბრუნებელი გზა მოეჭრათ. ბრძოლამ საღამომდე გასტანა. არაბებს მაშველი ჯარი მიუვიდა, მაგრამ შემდეგ იძულებული იყო უკან დაეხია. არაბებმა 100 კაცი დაჰკარგეს. ბატალიონი საღამოს ჯერ აინზარას მივიდა, იქიდან ტრიპოლის წავიდა. იტალიელებს 9 კაცი მოუკლეს და 28 დაუჭრეს.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარედ.

22 თებერვალი.

ინგლისის საზოგადოებათა პალატა.

ლონდონი. პრემიერ-მინისტრმა გაფიცვის გამო ილაპარაკა და ორივე მხარის გონიერება შეაქო. შემდეგ გამოაქვეყნა მთავრობის პირობები. ასკვიტმა განაცხადა, ტყუილია, ვითომც 16 თებერვალს მუშებისთვის მეთქვას: ქვა-ნახშირის მრეწველობაში ხელფასის მინიმუმის დაწესება პირველი ნაბიჯია მრეწველობის სხვა დარგშიაც მინიმუმის დაწესებისაკენ გადადგმულიო. მინისტრმა ბევრი ილაპარაკა მაღაროების მუშებთან ხელფასის მინიმუმის თაობაზე მოლაპარაკების შეწყვეტის გამო. ამ საკითხის გადაწყვეტა სხვა და სხვა ოლქში მიღებულ დადგენილებაზეა დამოკიდებული და მრეწველთ გარანტია უნდა მივცეთ, რომ ხელფასის მინიმუმის დაწესების დროს ქვა-ნახშირის წარმოება არ შემცირდება. მუშები თანახმანი არიან ორსავე პირობაზე, მხოლოდ წინააღმდეგნი არიან ხელფასის მინიმუმის განხილვისა, რადგანაც ჩვენი დადგენილების შეცვლა შეუძლებელიაო. ამის საწინააღმდეგო აზრი გამოსთქვეს მაღაროების პატრონებმა, რაც ასკვიტმა პარლამენტს მოახსენა. 16 თებერვალს მაღაროების მუშებს შევეკითხე, ეხლა კი პალატას შევეკითხები: შეიძლება თუ არა იძულებულ ვყოთ მაღაროების პატრონები ხელფასის მინიმუმის პრინციპი აღიარონ და შეიძლება თუ არა საკითხის განუხილველად გადაწყვეტა. მოლაპარაკებას უნაყოფოდ კი არ ჩაუვლია, ერთ წერტილზე გაიყინა, გაფიცვა საშინელებაა მთლად ჩვენი ქვეყნისათვის. მინისტრმა მოითხოვა საკითხის საფუძვლიანად განხილვა.

(?) ოპოზიციის სახელით მადლობა გადაუხადა მარტივ და გულ-ახდილ განმარტებისათვის. ოპოზიციას საჭიროდ არ მიაჩნია საკითხის სწრაფად განხილვა. კამათი ამით გათავდა.

გაფიცვა.

ლონდონი. ღარიბთა უბნებში სანოვაგე ძალინ გაძვირდა. მანჩესტერიდან მომავალ მატარებლებს 720 მატარებელი მოაკლეს, მიმოსვლა შეამცირეს აგრეთვე ჩრდილო-აღმოსავლეთის გზაზედაც.

ყოველ მხრიდან იტყობინებიან ქარხნებისა და სხვა და სხვა სამრეწველოების დაკეტვის ამბავს, გემთა მიმოსვლის საქმეც ძალიან ცუდად მიდის. მაღაროების მუშათა გარდა უსაქმოდ დარჩა 270 ათასი მუშა. ნახშირის უქონლობის გამო იძულებულნი არიან მატარებელთა მიმოსვლა შეამცირონ. განსაკუთრებით საქმე გამწვავდა სამხრეთში-

ლორტმუნდი. მთა მადანთა მუშების კავშირის მეთაურებმა განაცხადეს გუშინდელი გაფიცვა დისციპლინის დარღვევა იყოო. ამიტომ 21 თებერვალს თითქმის ყველამ დაიწყო მუშაობა.

როტშილდის მოკვლის განზრახვა.

ლონდონი. 20 თებერვალს ვიღაც უცნობმა როტშილდის ავტომობილს რევოლვერი ესროლა და პოლიციის აგენტი დასჭრა. როტშილდი უვნებლად გადარჩა. მსროლელი შეიპყრეს.

ფულის გადიდება.

პარიზი. მინისტრთა საბჭოში პრეზიდენტმა ფალიერმა სამხედრო ავიაციის მოწყობის პროექტი დაამტკიცა. გადასწყვიტეს 7 მილიონის სესხება. ერთი მილიონი ფრენისათვის უნდა გადაიდოს. ფლოტში მფრინავთა რაზმი შეადგინეს

რუსეთი

უხვი შეწირულება.

სმოლენსკი. დოროგობუჟში გარდაცვლილმა ქველ-მოქმედმა ქალმა მიხნევიჩმა 100.000 მანეთი დატოვა სახალხო განათლების სასარგებლოდ.

სტუდენტების დაპატიმრება.

პეტერბურგი. ქალაქის უფროსმა ადმინისტრატიულის წესით სამი თვით დაპატიმრება მიუსაჯა სტუდენტებს: ბლიუმენტალს და ჩისტოსერდოვს და თავისუფალ მსმენელს კოზლოვს. ორი თვით—სტუდენტებს: ფიშერს, გალიარ-დე-ბაკარას, ტომაშევსკის, გერშანოვიჩს, დრუშლიაკოვს და ტროფიმოვს, ერთი თვით: გოვარკევსკის, გოლოვანს, ვერბოვს იანიშევსკის და ობუხოვსკის. ამათ ბრალად ედებათ 1911 წლის 4 ენკენისთვეს გამოცემულ სავალდებულო დადგენილების დარღვევა.

ნაციონალისტების კრება.

პეტერბურგი. ნაციონალისტთა კრებამ გარეშე პირთა დაუსწრებელ სხდომაზე შემდეგი რეზოლიუციები მიიღო: 1) ებრაელების უფლებათა გადიდება ყოვლად შეუძლებელია, 2) საჭიროა საშუალების გამოძებნა ებრაელებთან აქტიური ბრძოლისთვის. სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების შესახებ ნაციონალისტებმა ის ტაქტიკა შეიმუშავეს, რომ იგინი შეეკვრებიან ყველა პარტიებს, რომელნიც ოქტომბრისტებზე უფრო მემარცხენენი არ იქნებიან და აგრეთვე მათთან, რომელნიც აღიარებენ (. . . .?) „ინოროდცებთან“ შეეროების საკითხში ნაციონალისტებმა უარი განაცხადეს პოლონელებთან შეერთებაზე, თუ გინდ ეს ტაქტიკურის მოსაზრებით სასარგებლოც იყოს, ხოლო სხვა „ინოროდცებთან“, რომელნიც რუსეთის მთლიანობასა და რუსის ერის პირველობას აღიარებენ, შეთანხმება სასურველად სცნეს. ნაციონალისტთა კრებამ შემდეგი საარჩევნო პლატფორმა შეიმუშავა: 1) ყოველივე საშუალებით, რომე-

---

*) იხ. „სახ. გაზ. № 531.

ლიც სათათბიროს ხელშია, ხელი შეუწყონ მართლმადიდებელ ეკლესიის დიდებისა და ღირსების განმტკიცებას, ეკლესიის მართვა-გამგეობა სწარმოებდეს სრულიად რუსეთის სამღვდელოების კრების დადგენილებისამებრ, სამღვდელოების უზრუნველყოფა, 2) იმპერიის სამხედრო ძალთა გაძლიერება, 3) მომზადება ჯარისა და სახალხო მასწავლებელთა, მათი ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესება, მათი აღზრდა ეკლესიისადმი პატივისცემისა და სამშობლოსადმი სიყვარულის განმტკიცებით; მომზადება მასწავლებელთა, რომელნიც ხალხს ხელობას და მეურნეობას შეასწავლიან; 4) გაფართოვება წვრილ საგლეხო და სახელოსნო კრედიტებისა, 5) კანონმდებლობითი და მთავრობის ზომები რუსეთის ვაჭრობა-მრეწველობისათვის და მეურნეობისათვის მოძრავ კრედიტის საშოვნელად, სახელმწიფო ბანკის საშუალებანი უნდა რუსების ხელში გადადიოდეს და არა „ინოროდცების“ ხელში; კრედიტისა, ვაჭრობისა და მრეწველობის ნაციონალიზაცია; 6) ებრაელების უფლებათა გაფართოვების წინააღმდეგ გალაშქრება და დაძველებულ კანონებთა ხელახალი განხილვა ებრაელებთან უფრო მტკიცე ბრძოლისათვის.

სტუდენტების სხდომა.

პეტერბურგი. გუშინ უნივერსიტეტში სტუდენტების ჯგუფმა, რომელთაც ს. დემოკრატიულ პარტიის წევრებად ასახელებენ, სტუდენტების საერთო კრება გამართა. პოლიციამ შეიპყრო 91 სტუდენტი, მათგანი 80 გვარების ჩაწერის შემდეგ გაანთავისუფლეს.

გაზეთის დაჯარიმება.

„ზვეზდას“ რედაქტორი 500 მანეთით დააჯარიმეს წერილისათვის: „უნივერსიტეტი, სტუდენტები და პროფესორები“.

თეატრი და ხელოვნება

სალიტერატურო საღამო. 10 მარტს ქართულს თეატრში სალიტერატურო საღამო გაიმართება ივ. გომართლის მონაწილეობით.

ქართული წარმოდგენა. დღეს ქართულს თეატრში წარმოდგენილი იქნება ალექსანდრე სუმბათაშვილის ცნობილი პიესა „ღალატი“, რომელშიაც მთავარს როლებს შეასრულებენ: ზეინაბს—ნ. დავითაშვილი. რუქაიას—კარგარეთელი, გაიანეს—ლეჟავა, სულეიმანს—იმხნელი, ოთარბეგს—გუნია, ბესო—აბაშიძე, ანანიას მესხი და სხვანი. წარმოდგენა იაფ-ფასიანია.

ქართ. წარმოდგენები ნააღდგომევს. როგორც გადმოგვცეს, ქართველ მსახიობთა ამხანაგობა აპირებს ნააღდგომევსაც განაგრძოს წარმოდგენების მართვა. ამისათვის უკვე მუშაობენ თურმე ახალ რეპერტუარზე და აპირებენ დასში მოიწვიონ ახალი ძალებიც.

ახალი ოპერეტი ქართულად. დიდი მარხვის მეხუთე კვირის დამლევს წარმოდგენილი იქნება ფალიაშვილის ლოტბარობით პირველად ახალი ოპერეტი **„კუდა-მელა“**, რომელშიაც მთავარ როლებს შეასრულებენ ტასო აბაშიძე, ვასო აბაშიძე, მგალობლიშვილი და ალ. იმედაშვილი.

საქველ-მოქმედო საღამო ქართულ თეატრში.

ორშაბათს, 20 თებერვალს, **კნ. ე. ი. ჯამბაკურ-ორბელიანის** დიასახლისობით, ქართულ თეატრში გაიმართა სამუსიკო—სალიტერატურო საღამო **„ქართველ ქალთა ამხანაგობის“ ჭრა-კერვის სკოლის სასარგებლოდ.**

პროგრამა საღამოსი ჯეროვანის გემოვნებით იყო შემუშავებული და საღამო შინაარსიანი გამოდგა, მაგრამ,—რა გამოვიდა,—იმოდენა, ქართულ თეატრშიაც არ ნახული, ანტრაქტები იყო ხოლმე ერთი ნომრის ასრულებიდგან მეორემდის, (განსაკუთრებით მეორე განყოფილებაში), რომ მაყურებელს გული უწვრილდებოდა ილაჯი ელეოდა, ამ ანტრაქტების სივრცეს ადვილად წარმოიდგენთ, თუ მეტყვით, რომ, მაგ. ჩვენს ახლოს მჯდომმა ორმა მანდილოსანმა, მხოლოდ ერთ ანტრაქტზე მოასწრეს მთელი ქალაქის ახალი ამბების გაზიარება, რა თქმა უნდა თავისი კომენტარიებით და რომ მაინც ფარდის აწევას არა ეშველარა, გულმოსული მანდილოსნები ადგნენ და დარბაზიდან გავიდნენ.

საღამო ორ განყოფილებიდან შესდგებოდა: სამუსიკო და სალიტერატუროდან. ფარდის აწევამდე მოისმა მწყობრი, მძლავრი სიმღერა გუნდისა: „ვერ გაიგეთ, ქართველნო!?... ფარდაც ნელ-ნელა მაღლა აცოცდა და სცენაზე გამოჩნდა, ირგვლივ ჩამწკრივებული, ახალ ქულაჯებში გამოწყობილი, ორმოციოდე-კაციანი, ტფ. ქართველ მომღერალთა საამხანაგო გუნდი, მიხეილის ლოტბარობით. ეტყობა ბ. მიხეილს, თავის ბიძაშვილის, ცნობილ ალექსანდრესავით, ნიჭი და უნარი შესწევს მომღერალთა გუნდის მოწყობისა და ხელმძღვანელობისთვის: შარშანდელს აქეთ, ეს ხორო შესამჩნევად გაზრდილა, გაუმჯობესებულა და მეტი სიმწყობრე და ჰარმონია მოისმის მის სიმღერებში. ხორომ, ზემოთ აღნიშნულ სიმღერის გარდა, შეასრულა: შემდეგი ხალხური სიმღერები: „ბროლის ყელსა მოგეხვიე“—გადმ. ფ. ქორიძის მიერ; „შევკრათ წითელი“—ი. კარგარეთელისა და „ორმოცი წლის ბებიაო“ მ. ბალანჩივაძისა.

შემდეგ, მსახიობმა ქალმა ცაცა ამირაჯიბმა წაიკითხა ნაწყვეტი ი. ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღიდან“: „სამშობლოს ცასა მწუხრის ზეწარი გადაეფარა“.. და მეორედ—გრიშაშვილის ლექსი: „ოცნების კოცნა“.. ნუ გაჯავრდებით, მკითხველო: წინდაწინვე გეთანხმებით, რომ ამ ორ ნაწარმოებთა შორის საერთო არაფერია ესრეთი გადახტომა ერთიდგან მეორემდის ძნელი ასახსნელია...

შემდეგ, მგოსანმა კ. მაყაშვილმა წაიკითხა თვისი შინაარსიანი ლექსი „ოთხი ფერია“. ი. გრიშაშვილმა,—ჩვეულებრივის რიხით,—თვისი ლექსი: „ოლ-ოლ“. საზოგადოებამ მოსთხოვა, რომ იმას კიდევ რამე წაეკითხა, მაგრამ გრიშაშვილმა საზოგადოება „აღარ გააბედნიერა“ თვისი ყურადღებით... ახალგაზდა მახვილაძის ქალი (ქვრივი გერმუტისა) პირველად მოევლინა ქართველ საზოგადოებას და შეასრულა, რუსულად, ორი რომანსი. მახვილაძის ქალს, თუ'ცა ჯერ დაუმუშავებელი, მაგრამ საოცარი მაღალი ხმა აქვს. სთქვეს კონსერვატორიაში წასვლას აპირებსო, რაიც რა თქმა უნდა დიდ სარგებლობას მოუტანს. ბ. ტარასევიჩმა სკრიპკაზე დაუკრა. შემდეგ გამოვიდა ცნობილი მომღერალი ვანო სარაჯიშვილი და, საამო ხმით, იმღერა: იტალიანურად და რუსულად ქართულად, გრიშაშვილის რომანსი, „გენაცვალე“. მსახიობმა ურუშაძემ საზოგადოება ძლიერ აცინა „გურულ სცენების“ წაკითხვით.

ამით გათავდა საღამოს პირველი განყოფილება და, ცოტა ხნის შემდეგ, დაიწყო მეორე, დიდ ანტრაქტიანი განყოფილება.

ქართულ სცენაზე ჯერ არ გვინახავს ისრეთი დიდი გემოვნებით და ხელოვნურად დადგმული ცოცხალი სურათები, როგორიც ვნახეთ ამ საღამოს მეორე განყოფილებაში.

როგორც გადმოგვცეს, ამ სურათების დადგმას ხელმძღვანელობდნენ ბ. ბ.: გიორგი მაჩაბელი, კილოსანიძე და ანდრონიკაშვილი, რომელთაც მართლაც დიდი უნარი გამოიჩინეს ნაკისრ მოვალეობის ასრულებაში. იმათ ცოცხალი სურათებით შემდეგი შარადები გამოსახეს: **რუსულად**: ჯერ მდიდრულად მოწყობილ დარბაზში გაიმართა ევროპიული ცეკვა-თამაში, რაიც მოასწავებდა (ამოიკითხებოდა) სიტყვა **ბალ** (бал); შემდეგ, იმავე მონაწილეთაგან სხვა და სხვა, თვალის წარმტაც ცოხალ სურათებში გამოხატეს ასოები **თ, მ და თ.** შემდეგ სცენაზედვე გამოიყვანეს ცხენზე მჯდომარე მხედარი, შესაფერისვე დეკორაციით და სხვა ცოცხალი სურათებით და ამ გვარად, ეს შარადა ამოიკითხებოდა: Бал-а-д-а: „лѣсной царь“ (გეტესი, თარგმანი ჟუკოვსკისა). შემდეგ გამოსახეს **ქართული შარადები**: 1, ზურნა მიუძღოდათ და მიჰქონდათ: ლოგინი, სკივრი, ავეჯები, სხვა და სხვა ნივთები და, რაღა თქმა უნდა, ეს შარადა მოასწავებდა—ქორწილს,—საპატარძლოს მზითევს.

მეორე შარადა წარმოადგენდა ჩვენებურ **დღეობას**: სცენაზე, ეკლესიის მახლობლად, მოსჩანდა ჩარდახიან ურმებით მოსული სოფლელი მლოცველ-მოქეიფენი. ცოტა ხნის შემდეგ, კულისების ერთი მხრიდან შემოდიან, არღანით, მოქეიფე ბიჭები და მეორე მხრიდან დუდუკით, ჩვენი ბრწყინვალე წოდების ახალგაზდობა და ჩაღდება ლეკური. მოლეკურენი, განსაკუთრებით მამაკაცები, ერთი ერთმანეთს სჯობდნენ. ხვეწნა-მუდარის შემდეგ „ძალად“ გამოიყვანეს, სოფლის დედაკაცის ტანისამოსში გამოწყობილი, მსახიობი ქალი ქ. ჩერქეზიშვილისა, რომელმაც თავისივე „გარმოშკით“ და თამაშით ბევრი აცინა საზოგადოება. თეატრის ფოიეში მოეწყოთ, (თუმცა ღარიბად): კოსკები, აფთიაქი, ყვავილები და სხვა. როგორც გადმოგვცეს, ბილეთები სულ გაეყიდათ. საზოგადოება საღამოთი ნასიამოვნები დარჩა. **ა. ციხელი.**

წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენ პატივცემულ გაზეთში ამ ჩემს წერილს.

ენკენისთვის 1911 წ. დასაწყისში ბატონმა **კ. თავართქილაძემ**, გადმომცა ოცდა-ათი კვიტანცია სამ წიგნზე ხელის მოსაწერად. კულტურის გამოცემაზე ან 9—10—11 კვიტანციის წიგნაკზედ ესეა აღნიშნული: პირობის დაგვარად და რასაც თვით კვიტანციები ამტკიცებენ, ხელის მომწერს ღნდა მოეცათ თითო აბაზი და როცა წიგნებს ჩაიბარებდნენ მაშინ თითო მანეთი. პირობა ჰქონდა ბატ. კ. თავართქილაძეს, რომ წიგნები ჩაებარებინა ჩემთვის, როგორც აგენტისთვის შარშან, ღვინობისთვეს. მაგრამ წიგნები მომივიდა ფასდადებით 22 იანვარს 1912 წ. მაშინვე მივმართე ხელის მომწერლებს, ფული შეეგროვებინათ, და დუბლიკატი ვაჩვენე ყველამ უარი განაცხადა: „ჩაგვაბარე წიგნები და ფული მიიღეო“. ეს ვაცნობე ბატ. თავართქილაძეს, თანაც ვწერდი, რომ რათ გამოგზავნა ფას დადებით და ვთხოვდი აეხსნა „ფას დადება“. დღევანდლამდე პასუხი არა მაქვს. წიგნები კი ოცდა ორში საჯარო ვაჭრობით გასაყიდად გაიგზავნება. ხელის მომწერლებმა, ეს რომ შეიტყვეს, მომცვივდნენ: „ალბათ ბე არ მიგიციაო, რომ წიგნები არ გამოგზავნაო“. ბევრს ვეჩიჩინები, როგორც არის საქმე, მაგრამ არა სჯერათ... ამიტომ უმორჩილესად ვთხოვ ბატ. კ. თავართქილაძეს პირობის დაგვარად წიგნებს „ფას დადება“ ახსნას ან დააბრუნოს ბეთ გაგზავნილი ფული.

პატივისცემით **ვ. ხაათაშვილი.**

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ამ ჩემს წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ „სახალხო გაზეთის“ ფურცლებზე.

5-ს თებერვალს საბავშვო სალიტერატურო საღამო გაიმართა ს. ქვემო-მაჩხაანის სამინისტრო სასწავლებლის დაქირავებულ შენობაში, სადაც ამ სკოლის მეორე და მესამე განყოფილება არის მოთავსებული და რომლის მასწავლებლადაც ამ ჟამად გენო შავლიაშვილია. საღამოს დაწყებამდის სამრევლო სკოლის გამგე-სამღრთო სჯულის მასწავლებელმა მღ. ვანო მენთეშაშვილმა იქ დამსწრეთ გვიჩვენა რუსულ ენაზე დაწერილი შემდეგი შინაარსის ოფიციალური ქაღალდი, რომელიც ქვემო-მაჩხაანის სამინისტრო სასწავლებლის გამგე მასწავლებელს ილიკო მენთეშაშვილს იმ დილით გამოეგზავნა მასწავლებელ ქალ გენო შავლიაშვილისათვის. მოგყავს ეს მიწერილობა სიტყვა-სიტყვით ქართულად: მეორე მასწავლებელს ქვემო-მაჩხაანის პირველდაწყებით სასწავლებლისას—ნამდვილის წყაროდგან შევიტყე, რომ თქვენ ამ რიცხვს საღამოთ, ჩემდამო რწმუნებულ სასწავლებელში, სადაც 2—3 განყოფილებაა მოთავსებული, ჰმართავთ წარმოდგენას (спектакль), ამიტომ გთხოვთ შემატყობინოთ რა საფუძვლით ჰმართავთ წარმოდგენას და თუ არის ნებართვა მთავრობისა გამომიგზავნეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ტფილისის გუბერნიის მეორე რაიონის სახალხო სკოლების ინსპექტორს ვაცნობებ (донесу). № 2, 5-ს თებ. 1912 წ. გამგე ქ.-მაჩხაანის სამინ. სასწავლებლისა მასწავლებელი ილიკო მენთეშოვი.

მღვდელმა ვანო მენთეშაშვილმა მეორე ქაღალდიც გვიჩვენა, რომელიც ახლა მასწავლებელს ილიკო მენთეშოვს სამრევლო სკოლის ქალი მასწავლებელ ელო შანშიაშვილისათვის მიეწერნა: „ვინ მოგცათ ნება, რომ ჩემდამო რწმუნებულ სამინისტრო სკოლის შენობაში სალიტერატურო საღამოსა ჰმართავთო.

ამ მოწერილობებმა იქ დამსწრენი ძალზე აღაშფოთა და გადასწყვიტეს მეორე დღესვე პასუხი მოეთხოვათ მასწავლებელ ილიკო მენთეშაშვილისათვის, მით უმეტეს, გაგებული ჰქონდათ, რომ მასწავლებელმა ილიკო მენთეშაშვილმა თავის შეგირდებს ნება არ მისცა 4-ს იანვარს ს. ქვემო-მაჩხაანში გამართულ საბავშვო სალიტერატურო საღამოზე დასწრებოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ რამდენჯერმე პირადად სთხოვეს ქალმა მასწავლებლებმაც და მღვდელმა ივანე მენთეშაშვილმაც.

გადაწყვეტილებისამებრ რამდენჯერმე დააპირეს პასუხი მოეთხოვნათ მასწავლებელ ილიკო მენთეშაშვილისათვის, მაგრამ იგი ყოველთვის ახერხებდა სახლიდან გასხლტომას...

გავიდა სამი დღე და ათ თებერვალს დილით მოვაჭრე ნიკო კორაშვილის დუქნიდან დამიძახა მასწავლებელმა ილიკო მენთეშაშვილმა „ცოტახანს აქ მოდიო“. მივედი თუ არა დამიწყო ხმა მაღლა ყვირილი: „მე ამბავი მომიტანეს, რომ სალიტერატურო საღამოზე ჩემს წინააღმდეგ გილაპარაკნია, როგორ გაბედე ჩემი სკოლის საქმეში ჩარევაო“ და უშვერის სიტყვებით დიდი შეურაცხყოფა მომაყენა.

სოფ. ქვემო-მაჩხაანის შეგნებულ პირთ ჰსურდათ მასწავლებელ ილიკო მენთეშაშვილისათვის ჩემის შეურაცხყოფისა გამოც პასუხი მოეთხოვნათ, მაგრამ იგი ახლოც არავის გაეკარა. ხან რა მოიმიზეზა ხან რა.

ამიტომ გადავწყვიტე გაზეთის საშუალებით გამოვიწვიო სამედიატორო სამართალში, რომელიც ჯეროვანს მსჯავრს დასდებს მის ასეთს საქციელს. მე ჩემის მხრივ მედიატორედ ტიბაანის მღვდელს კონდრატე ნინიკაშვილს ვასახელებ, იმანაც თავის მხრივ ამოირჩიოს მედიატორე. უკეთუ ამ წერილის დაბეჭვდის დღიდგან ორის კვირის განმავლობაში მასწავლებელი ილიკო მენთეშაშვილი არ დაასახელებს მედიატორეს და სამედიატორო სამართალში არ გამომყვება, მაშინ იგი ღირსი არ იქნება, რომ რიგიანი მასწავლებლის სახელი ატაროს. სხვა გაზეთებსაც ვთხოვ გადაბეჭდონ ეს წერილი.

დავშთები თქვენი პატივცემელი მღვდელი **ეგნატე მენთეშაშვილი.**

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

ზამთრობით (15 ოქტომბრიდან 1911 წ.)
(დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

ტფილისიდან გადის.

ბათუმისაკენ: 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—II კლ., საღ. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5, I—III კლ. საღ. 5. ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 13 წ.

ბაქოსაკენ: 1) ჩქარი მატ. № 2, I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალოჯარიში ღამ. 11 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ, № 6, I—II კლ. დღ. 3 ს. 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალოჯარიში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. 11 წ.

3) საფოსტო მატ. № 4, I—III კლ. ღამ. 11 ს. 18 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალოჯარიში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ.

4) შერეულ. მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალოჯარიში დილ. 5 ს. 58 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

ბორჯომისაკენ: 1) სამგზ. მატარებ. № 9/66, I—III კლ, დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

ჯულფასა და ერევნისაკენ: 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. საღ. 11 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის საღ. 11 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საქონლ. მატარ. № 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 11 ს. 6 წ.

ტფილისში მოდის.

ბათუმიდან; 1) სამგზ. № 6, I—III კლ. 2 ს. 50 ს. საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, II—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

ბაქოდან: 1) სამგზ. № 5, I—III კლას. საღ. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № 1, I—III კლ. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 107, IV—III კლ. ღამის 9 ს.

ერევან-ჯულფიდან: საფოსტო მატ. № 72/73, I—II კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ.-საქონ. № 80/81, II და III კლ. დღ. 4 ს. 40 წ.

ბორჯომიდან: სამგზ. № 61/0, I—II კლ. დილ. 8 ს.

შენიშვნები: 1 გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტიითაა (საკუთარ. საწოლებით).

გემების მიმოსვლა შავ ზღვაზე.

(ზამთარში).

რუსეთის საზოგადოებისა.

ბათუმიდან გადის: ოდესისაკენ პირველი—საფოსტო-სახალხო გემი სამშაბათობით ღამის 1 საათს, ყველა ზღვის პირა ქალაქს გაივლის. მეორეც—ხუთშაბათობით, ღამის 1 საათს. პირ და პირ—სოხუმით, გაგრათი, სოჭით, ტუაფსეთი, ნოვოროსიისკით-ფეოდოსიით, იალტათი, სევასტოპოლითა და ევპატორიით შაბათობით, შუაღამეს.

სახალხო გემები ყველა ზღვის-პირა ქალაქებზე ორშაბათობით და სამშაბათობით ნაშუადღევის 2 საათს.

სახალხო-საქონლის გემები — ესენიც ყველა ქალაქისკენ გაევლიან ოთხშაბათობით და პარასკეობით შუაღამეს.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები	
1—2	**გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4	**მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6	**ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7	**შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).
8—9	**ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12	**ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 715)

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

—::—

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტის შესახვ. 5. ტელ. 487).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველან შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩ. 5' და მალაკანის მოედანზე.

განცხადებანი



„პეტერბურგის საქიმიო ლაბორატორია“,
1860 წ. დაარსებული,
ოქროს მედალი პარიზისა 1900 წ.
თმის საზრდელი
„იის ექსტრაქტი“
Lotion Végétale aux Violettes d'Antibes
ქერტლის საშუალება და თმის გასამაგრებელი
მთავარი საწყობი: ტფილისი, სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობა. (12—1294—3)

სამშობიარო თავშესაფარი [illegible],

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის კიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწდომ ფასში, დღე-ღამეში 1 მან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მდე, ამოწმებს თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ. მიკირტუმოვი.**
(თ. 1646.25)

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
მუდმივის საწოლებით.
მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.
იღებენ ავადმყოფთ:

ალაჯანოვი—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დღის 11—12 ს.

ვ. ვ. ვნუკოვი—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.

ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგან, ნერვებსა, სულით-ავადმყოფთ. ელექტროთერაპია დილის 11—12 საათამდე.

კიმონტი გ. პ.—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

მაგაკიანი გ. ნ.—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$ სთ.

ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და შაბაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

წამლობა „606“-ით.
(100—1615—27)

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.
დილით:
„606“—11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი; 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. აგასაროვი: 9—10 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

კ. მ. ჩიქოვანი: $9\frac{1}{2}$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.

კბილის საექიმო კაბინეტი **ი. ა. ფრანკისა** 9—2 ს. წამლობა, პლომბის გაკეთება და ხელოვნური კბილების ჩასხმა.

საღამოთი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

ი. ა. ფრანკი: 5—7 ს.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ. 1074.21)

ბაღოსნობა ძმ. ავსარქისოვებისა სად. სკრაში

კავკ. რკ. გზ. ჰგზავნის **ხეხილის ნერგებს** საზღვარ-გარეთულს, რუსულ, ადგილობრივ საუკეთესო ჯიშისას და **საწალკოტო (დეკორატიული) ხეებსა** და **მცენარეებს** ხელმისაწვდომ ფასებში. მსურველთ კატალოგები უფასოდ ეგზავნებათ. მისამართი: Ст. Скра З. Ж. Д. Авсаркисову,

ფირმა დაჯილდოვებულია ვერცხლის დიდ მენდლით 1911 წ. **მოსკოვში** გამართულ სრულიად რუსეთის ბაღოსნობის მოყვარეთა საზოგადოების საიუბილეო გამოფენაზე. და **ოქროს დიდ მენდლით ტფილისში** პირველ მორიგ ხილის ბაზარ-გამოფენაზე. (6—1120—2)

1912 წ. მიიღება ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
☛ „ნაკადულ“-ზე ☚
✦ **წელიწადი მერვე.** ✦

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:
24 **წიგნი** „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის; 12 **წიგნი** „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.
საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს
დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინალური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.

ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинскій просп. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში**: ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის“ აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გოგელაურთან, **განჯაში** ბ. ამბოკაძესთან და **ერევანში** კ. ოდიშარიასთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**.
(წ.—1627—32 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

ტფილისი, მუხრანის ქუჩა № 12, სტამბა „შრომა“.